# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 2 ოქტომბერი 2003 №186 (1957) | ფასი 50 თეთრი




REUTERS

კლაუდიო რანიერის გუშინდელ 0:2-ს რომან აბრამოვიჩი მწარედ გაუხსენებს



REUTERS

ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერი" შტუტგარტიდან უქულოდ გაისტუმრეს

# ბეშიქ-თაქი აბრამოვიჩის არისტოკრატებს

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ახალი მოდელის მერსედესი: Stuttgart 2:1



REUTERS

ჩელსი — ბეშიქთაში 0:2. ფულითა და ვარსკვლავებით გაძეძგილი „ჩელსი" სერგეი იალჩინმა სახტად დატოვა

# ქართულ სენსაციას მცხეთა ჰქვია



## გუშინ ქუთაისში გუცაევმა დინამოს ტორპედო დააყოლა

საქართველოს ჩემპიონატის მე-10 ტურის მატჩების მიმოხილვა იხილეთ მესამე-მეოთხე-მეხუთე გვერდებზე

# პარიზი-სიდნეი-პერთი ქართველებს ავსტრალიაში ქართულად დახვდნენ

IRB RUGBY WORLD CUP 2003

რამდენიმე დღეც და ავსტრალიაში ზარზეიმით გაიხსნება მორაგბეთა მსოფლიოს თასის მეხუთე გათამაშება, რომლის მონაწილე 20 გუნდში ჩვენი ბორჯღალოსნები ერთადერთი ახალბედები არიან. ისინი სხვებთან ერთად უკვე ჩავიდნენ კონტინენტ-ქვეყანაში, ჯერ სიდნეიში, იქიდან კი პერთში, სადაც 12 ოქტომბერს პირველ მატჩში მრისხანე ინგლისს დაეჯაჯგურებიან.

A ჯგუფი: ავსტრალია, არგენტინა, ირლანდია, რუმინეთი, ნამიბია — იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდები

# ჩემპიონთა ლიგა
## ჯგუფური ეტაპი. II ტური. წუხელ

### E ჯგუფი

**შტუტგარტი 2:1 მანჩესტერი**

1:0 სამიჩი (50), 2:0 კურანი (52), 2:1 ვან ნისტელროი (67პ)
*მეორამ ვერ გაიტანა პენალტი (80, მეკარე)*
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, ლამი (გერბერი 71), სოლდო, ვრანიეში (ტიფერტი 73), მელდტი, გლები (მაისნერი 87), კურანი, სამიჩი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
მანჩესტერი: ჰოვარდი, გ. ნევილი, ფერდინანდი (ფორლანი 82), სილვესტრი, ოში (ფორჩუნი 66), გიგზი, კინი, ფ. ნევილი, კ. რონალდო (ფლეტჩერი 90), სქოულზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: გ. ნევილი, ტიფერტი
მსაჯი: კ. ბოლონინო (იტალია)
50 348 მაყურებელი

**პანათინაიკოსი 1:1 რეინჯერსი**

0:1 ემერსონი (35), 1:1 კონსტანტინიდისი (87)
პანათინაიკოსი: კოსტასი, მორისი, ხიტარიდისი, კურგიაკოსი (გუმასი 46), ფისასი, მიკაელსენი, მარიჩი, ეპალი (კონსტანტინიდისი 79), ფუტაუტასი, კონსტანტინუ, ვლაოვიჩი (პაპადოპულოსი 64)
მწვრთნელი: იცხაკ შუმი
რეინჯერსი: კლოსი, ბერგი, მური, ბოლი, ხიზანიშვილი, ემერსონი, კაპუშუ, არტეტა, ლოვენკრანდსი (ვანოლი 78), შ. არველაძე (ნერლინგერი 84), მოლსი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: მარიჩი, ვლაოვიჩი, გუმასი, ეპალი, არტეტა
გაძევება: გუმასი (47)
მსაჯი: ა. იბანიესი (ესპანეთი)
13 718 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| მანჩესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |

### F ჯგუფი

**პორტუ 1:3 რეალი**

1:0 კოშტინია (7), 1:1 ელგერა (28), 1:2 სოლარი (37), 1:3 ზიდანი (66)
პორტუ: ბაია, ფერეირა, კარვალიო, ემანუელი (იანკაუსკასი 70), ვალენტე, მენდესი (მაკარტი 46), კოშტინია, დეკო, მანიშე, ფერნანდესი (ბოსინგვა 46), დერლეი ხილვა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, ბრავო, რობერტო კარლოსი, ელგერა, ფიგუ, ბუტი, ზიდანი, რონალდო (რაული 83), სოლარი (კამბიასო 90)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: პავონი, ელგერა, დეკო
მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)
37 506 მაყურებელი

**მარსელი 3:0 პარტიზანი**

1:0, 2:0, 3:0 დროგბა (62, 68, 84)
მარსელი: რუნჯე, პერესი, ვან ბუიტენი, მეიტე, ეკერი, მარლე (ფერნანდო 60), ვაჰუშეკი, მერიემი (ჰემდანი 72), სელესტინი, მიდო (სიჩოვი 77), დროგბა
მწვრთნელი: ალენ პერენი
პარტიზანი: რადაკოვიჩი, ჩირკოვიჩი (სავიჩი 86), ჯორჯევიჩი, სტოიანოსკი, ვესტი, მალბასა, დულია, ილიჩი (დრულოვიჩი 81), ნადი, დელიბასიჩი, ილიევი (ბრნოვიჩი 81)
მწვრთნელი: ლოთარ მათეუსი
გაფრთხილება: დელიბასიჩი, მიდო
გაძევება: დელიბასიჩი (45)
მსაჯი: დ. მესინა (იტალია)
58 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| მარსელი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| პორტუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| პარტიზანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |

### G ჯგუფი

**ლაციო 2:2 სპარტა**

0:1 სიონკო (27), 0:2 პობორსკი (35), 1:2, 2:2 ინძაგი (46, 60პ)
ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, მიხაილოვიჩი, ჰავალი, კონსეისაო (მუცი 61), ალბერტინი (ლივერანი 46), სტანკოვიჩი, ფიორე, კორადი, ს. ინძაგი (დაბო 81)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
სპარტა: ბლაჟეკი, ფლახბარტი, ჰუბშმანი, იოშანა, ლაბანტი, პობორსკი, ზელენკა (კრმასი 90), კოვაჩი, პერგლი, კინცლი (გლუშკევიჩი 81), სიონკო (მიხალიკი 87)
მწვრთნელი: ირჟი კოტბა
გაფრთხილება: იოშანა
მსაჯი: კ. კოლომბო (საფრანგეთი)
40 000 მაყურებელი

**ჩელსი 0:2 ბეშიქთაში**

0:1, 0:2 სერგენი (24, 29)
ჩელსი: კუდიჩინი, დესაი, გალასი, ბაბაიარო (ბრიჯი 23), ტერი, ჯერემი, მაკელელე ვერონი, ლამპარდი, კრესპო (ჰასელბაინკი 45), მუტუ (დაფი 45)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ბეშიქთაში: ო. კორდობა, ძაგო, გ. რონალდო, ემრე ასიკი, ტაიფური, ჟუნტო (სულეინი 68), უზულმეზი, სერგენი (ჰასანი 81), კოჩი (დობრა 59), პანჩუ, მანსიზი
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: მუტუ, მანსიზი, ტაიფური, ჟუნტო, სერგენი, ძაგო
გაძევება: მანსიზი (51)
მსაჯი: ლ. ბატისტა (პორტუგალია)
32 957 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ბეშიქთაში | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჩელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| სპარტა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

### H ჯგუფი

**სელტა 0:0 მილანი**

სელტა: პინტო, ანხელი,ველასკო, კასერესი, კონტრერასი (ხერხიო 45), ვაგნერი, ჯოვანელა, ხუანფრანი, ხესული (ხანდრო 84), მოსტოვოი, გ. ლოპესი (მილოშევიჩი 58)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, პირლო, სერჟინიო (ფ. ინძაგი 62), ამბროზინი, კაკა (რივალდო 63), რუი კოშტა, შევჩენკო (ბროკი 73)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კაფუ, ამბროზინი, მალდინი, ვაგნერი, პირლო
მსაჯი: მ. რაილი (ინგლისი)
28 000 მაყურებელი

**აიაქსი 2:0 ბრიუგე**

1:0, 2:0 სონკი (11, 54)
აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, პასანენი, ესკუდე, მაქსველი, პიენაარი (დე იონგი 60), გალაშეკი, ვან დერ ვაარტი (ვან დამი 77), სონკი, იბრაჰიმოვიჩი, სოტერსი (სნეიდერი 46)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
ბრიუგე: ბუტინა, კორნელისი, სიმონსი, როზენალი, ვან დერ ჰიდენი, დე კოკი, კლემენტი, ენგლებერტი (ჩეში 64), გვოზდენოვიჩი (ი. შიმიჩი 78), ვერჰეიენი, სატერნსი (ლანგე 87)
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
გაფრთხილება: სოტერსი, პასანენი, ვან დერ ვაარტი, ენგლებერტი, დე იონგი
მსაჯი: გ. ბარბერი (ინგლისი)
49 371 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| აიაქსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| სელტა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ბრიუგე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი XI ტური**

ქოვენთრი 2:0 ძრიუ
ნოტინგემი 0:1 პრესტონი
ვესტ ჰემი 3:0 კრისტალ პალასი

**მეორე დივიზიონი XI ტური**

უენსდი 2:1 ნოტსი
სუინდონი 2:2 ლუტონი

**მესამე დივიზიონი XI ტური**

ოქსფორდი 1:0 ტორკი

## სლოვაკეთი

**თასის მერვედფინალი**

ბისტრიცა 1:1დ.დ.(პენ.6:7, 1:1) ჟილინა
სალა 2:0 პუხოვი
რაპიდი (რ) 1:2 პეტრჟალკა
ტეპლიცე 2:1 ტატრანი

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა გადადებული მატჩი**

ტამპერე 4:2 ალიანსი

## სლოვენია

**თასის მეოთხედფინალი პირველი მატჩები**

მარიბორი 2:0 პუბლიკუმი
გელა 0:0 ლიუბლიანა
დრავოგრადი 3:1 ნაფტა
რუდარი 2:1 ჟესენიცე

## იტალია

**თასი. III ტური**

პალერმო 1:1 ბრეშა
ვენეცია 2:0 ემპოლი
სამბენედეტეზე 2:1 მოდენა
ტერამო 0:1 სიენა
პროპატრია 0:1 სამპდორია
ჩეზენა 1:2 პერუჯა

## პოლონეთი

**თასის მეოთხედფინალი პირველი მატჩი**

პოლკოვიცე 0:0 ლეხი

## ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა VIII ტური**

შტურმი 2:1 გრაცერი
კერნტენი 2:0 ადმირა

# აბრამოვიჩი ბეშიქთაშს ყიდულობს

კი რუ „ოსერის" მწვრთნელია. მის ხელში არაერთი ვარსკვლავი გამოზრდილა. მხცოვანი ფრანგი სპეციალისტის გვარ-სახელი სულ ოთხი ბგერისგან შედგება, მაგრამ გასულ ზაფხულს მან ისეთი სიბრძნე თქვა, რომ ოთხ რომან აბრამოვიჩს გადაწონის.

კი რუს ძველმა მეგობარმა, ჟერარ ულიემ ჯიბრილ სისესა და ჟან ალენ ბუმსონგის სანაცვლოდ მსუყე თანხა შესთავაზა. ბებერმა მწვრთნელმა ლივერპულელ ფრანგს ასე უპასუხა: „ეს ბიჭები სარფიანად რომ გავყიდო, მერე მე რა? ფულს მაისურა ჩავაცვა და მოედანზე შევუშვა?

რომან აბრამოვიჩმა ორი ასეული მილიონი ევრო დახარჯა. ეს ფული „ჩელსის" მაისურით რომ შეემოსა და „ბეშიქთაშთან" ეთამაშებინა, „არისტოკრატებს" ეგებ მაშინ ნაღდად მოეგოთ კიდეც, მაგრამ ფეხბურთს ფეხბურთელები თამაშობენ და არა კუპიურები. ასე რომ, ფული, რაც უნდა აურაცხელი იყოს, გამარჯვების გარანტიას არ იძლევა.

„სტემფორდ ბრიჯზე" ჩემპიონთა ლიგის პირველ საშინაო მატჩში „ჩელსი" „ბეშიქთაშთან" უიმედოდ დამარცხდა. ახლა აბრამოვიჩს კლაუდიო რანიერის გასათავისუფლებლად ნაღდი მიზეზი აქვს, თუმც მუდმივად მოგების გარანტიას რომელი მწვრთნელი მისცემს?

„ლაციო" კი სიმონე ინძაგიმ იხსნა, მაშინ, როცა რომაელები პრაღის „სპარტასთან" ორბურთიანი სხვაობით მარცხდებოდნენ. ინძაგიმ მეორე ტაიმში ერთი გოლი ალალად გაიტანა, პენალტის მონადირებისას კი ძმასავით წაიმსახიობა და მსაჯს თერთმეტმეტრიანი დასტყუა.

კრისტიანო რონალდოც არანაკლები არტისტი ყოფილა. ჰილდებრანდთან შეხება პორტუგალიელმა ისე გააფორმა, რომ „შტუტგარტის" მეკარის რისხვა გამოიწვია. ჰილდებრანდი ამ სეზონში გოლის გაშვებას გადაეჩვია და ამიტომაც გაბრაზდა. ფელიქს მაგათის გუნდმა „მანჩესტერი" ორჯერ კონტრშეტევაზე გამოიჭირა და მოსაგებად ეს საკმარისი აღმოჩნდა.

ათენში „რეინჯერსის" საგოლე კომბინაცია ზურაბ ხიზანიშვილმა დაიწყო, რომლის ფლანგური გარღვევა ემერსონმა ზუსტი დარტყმით დაასრულა. გლაზგოელებს საბერძნეთიდან სამი ქულის წაღება მართებდათ, თუმც კაცნაკლულმა მასპინძელბმა გათანაბრება მაინც მოახერხეს. „რეინჯერსის" ფანებმა ამის გამო შეიძლება ძალიან არც ინერვიულონ, რადგან მათი გუნდი ცხრილში „მანჩესტერის" თავში მოექცა.

კარლუშ კეიროშის სამშობლოში მადრიდის „რეალმა" უეფას თასის მფლობელი მას შემდეგ დააჩოქა, საკუთარ კარში გოლი რომ მიიღო. სამეფო კლუბის ნაზირვეზირები გამშაგედნენ და მასპინძლებს ერთის სანაცვლოდ სამით უპასუხეს.

მარსელში მასპინძლებმა მაშინღა გაილაღეს, „პარტიზანი" კაცნაკლული რომ დარჩა. მარსელელთა ახალწვეულმა დიდიე დროგბამ ჩემპიონთა ლიგის პირველი ჰეთ თრიქი მიითვალა და სამხრეთული კლუბის ქომაგები გაახარა.

ვიგოში ნამდვილად გამოჩნდა რივალდო, რომელიც „მილანიდან" წავიდა და თურმე გულშემატკივრების წინაშე შარვალ-პიჯაკში გამოჩენა ყოფილა საჭირო იმისთვის, რომ მწვრთნელმა გათამაშოს.

ამსტერდამში „აიაქსმა" ბელგიელები ბელგიელისვე ფეხით დაამარცხა. ვესლი სონკმა თანამემამულეები თითო ტაიმში თითო გოლით დაასაჩუქრა და სამშობლოში მოკითხვა დააბარა.

**გაგა ხუციშვილი**



პანათინაიკოსი — რეინჯერსი. შოთა არველაძის „რეინჯერსი" ათენიდან ქულით გაბრუნდა



აიაქსი — ბრიუგე. ვესლი სონკმა თვისტომებს რომ გაუტანა, საგოლე მალაყიც აკისრა



ლაციო — სპარტა. მასპინძლები მარცხისგან სიმონე ინძაგის დუბლმა იხსნა

**50**

სარბიელელები
ვულოცავთ
„სარბიელის"
რედაქტორს
თამაზ მიგრიაულს
დაბადების დღეს.
გისურვებთ ჯანის
სიმრთელეს, სულის
სიმხნევეს და იყავით
ყველა ახალგაზრდაზე
ახალგაზრდა

*ცნობილი თურქი საფეხბურთო აგენტი ბაირამ თუთუმლუ რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა თბილისში და აქაურობას დღეს დატოვებს.*

*თუთუმლუს ბევრ ცნობილ ფეხბურთელთან და კლუბთან დაუჭერია საქმე. მას ცენტრალური ოფისი ბარსელონაში აქვს, ფილიალები კი სხვადასხვა ქვეყნებში.*

*თურქ სტუმარს გუშინ „ლოკომოტივის" სტადიონზე შევხვდით და რამდენიმე კითხვა დავუსვით*



# ბაირამ თუთუმლუ: მერაბ ჟორდანიას დიდი მწვრთნელი შევთავაზე

## სირაძე ჭკვიანია, მაგრამ ცოტას დარბის

**— რა არის თქვენი თბილისში ვიზიტის მიზანი?**

— აქ მე მეგობრები მყავს, ძმები არველაძეები და თქვენი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. ჩამოვედი, რათა მენახა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩი. ვიზიტი სანახევროდ საქმიანია, სანახევროდ მეგობრული.

**— რაზე ისაუბრეთ თქვენ და მერაბ ჟორდანიამ?**

— ეს საიდუმლოა. არის ისეთი რაღაცეები, რასაც ხანდახან ვერ ვამბობ.

**— როგორც ვიცით, თქვენ კონკრეტული პროექტები გაქვთ შემუშავებული ქართული ფეხბურთისთვის.**

— სწორედ ამაზე ვისაუბრეთ. არის იმის საშუალება, რომ კარგი რამ გაკეთდეს ქართული ფეხბურთისთვის. მე მაქვს სათანადაო გამოცდილება — დიდ კლუბებში მიმუშავია. თქვენ კარგი ფეხბურთელები გყავთ — კალაძე, არველაძე, ხიზანიშვილი... მაგრამ რატომ ვერ აღწევს წარმატებას თქვენი ეროვნული ნაკრები?

**— დღევანდელ მატჩში თუ აღმოაჩინეთ სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელები?**

— საქართველოში ასეთი რამდენიმეა. ამ შეხვედრაში კი მომეწონა 4 (სალუქვაძე) და 20 ნომერი (სირაძე). 20 ნომერი საზრიანი ფეხბურთელია, მაგრამ ცოტას დარბის.

**— მოკლედ, თბილისური ვიზიტით კმაყოფილი ხართ.**

— მნიშვნელოვან ადამიანებს შევხვდი მნიშვნელოვან თემაზე და ამ მხრივ მუშაობას გავაგრძელებ.

**— ჟორდანიას ეროვნული ნაკრებისთვის მწვრთნელი ხომ არ შესთავაზეთ?**

— ყველა ჟურნალისტი ძალიან ჭკვიანია (იცინის).

**— ვინ შესთავაზეთ ჟორდანიას?**

— მე თუ ვინმეს რამეს შევთავაზებ მხოლოდ საუკეთესოს და დიდს. ალბათ 2-3 კვირაში თბილისში ისევ ჩამოვალ.

**დავით თავართქილაძე**

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

## რუსეთი — საქართველო

# ჩერნიშოვმა ბორში ოცი კაცი დაპატიჟა

**რუსეთის** ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანდრეი ჩერნიშოვმა ევრო 2004-ის შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩში საქართველოსთან სათამაშოდ 20 რჩეულ ფეხბურთელს უხმო. რუსებს ჩვენებთან დისკვალიფიკაციის გამო სამი ფეხბურთელი ვერ დაეხმარება — ბელოზეროვი (სპარტაკი), პავლიუჩენკო (სპარტაკი) და კუდრიაშოვი (კრილია სოვეტოვი).

ჩერნიშოვი გუნდს 6 ოქტომბერს ბორში შეკრებს. ოქტომბრული რუსული ოცეული ასეთია:

***მეკარეები*** *— აკინფეევი (ცსკა), გაბულოვი (სპარტაკ-ალანია);*

***მცველები*** *— კუზმინი (ჩერნომორეცი), როგოჩი (როსტოვი), კოლოდინი (ურალანი), კარლაშჩუკი (სპარტაკი), ანიუკოვი (კრილია სოვეტოვი), ა. ბერეზუცკი (ცსკა), ბუგაევი (ტორპედო);*

***ნახევარმცველები*** *— ბოზერი (კრილია სოვეტოვი), ვანიუშინი (კრილია სოვეტოვი), ვ. ბისტროვი (ზენიტი), დენისოვი (ზენიტი), არშავინი (ზენიტი), ბუშუევი (ჰერტა, გერმანია), პავლენკო (სპარტაკი), კუსოვი (სპარტაკ-ალანია);*

***თავდამსხმელები*** *— ვინოგრადოვი (კრილია სოვეტოვი), გოგნიევი (ცსკა), ადამოვი (როსტოვი).*

შეგახსენებთ, რომ უეფას უცნაური რეგლამენტის გათვალისწინებით, რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ქართველ თანატოლებთან მოგება არ აწყობთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შანსი, ჩერნიშოვის გუნდი საუკეთესო მეორე ადგილის მფლობელის როლში მოხვდეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

რუსეთ — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი 10 ოქტომბერს მოსკოვში, ედუარდ სტრელცოვის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

**კახა შალამბერიძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგა — 15 ჩემპიონატი, პირველი ეტაპი — 10 ტური

# არველაძის მორიგი ექსპერიმენტი სიჭინავამ გაამართლა

**დავით თავართქილაძე**

**თბილისის** „ლოკომოტივი" ერთხელაც წარსდგა გადასხვაფერებული, ექსპერიმენტალური შემადგენლობით, რაც იღბლიანი გამოდგა რკინიგზელებისთვის. წინა ტურში სასტარტო შემადგენლობაში მყოფი რამდენიმე ლოკომოტიველი გუშინ სამატჩო განაცხადშიც არ ყოფილა — რევაზ არველაძის თქმით, ზოგი ტრავმირებულია, ზოგიც სათანადო ფორმაში ვერაა და ინდივიდუალური პროგრამით ემზადება.

ოზურგეთის „მერცხალს" კი კვლავ აკლდა ერთ-ერთი ლიდერი დავით ხუჭუა, ვისაც კუნთი აქვს დაჭიმული.

სტუმრებმა ჟინიანად ითამაშეს, მაგრამ ბოლო ათი წუთი ველარ გაძლეს — თენგიზ სიჭინავამ დაახლოებით 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით დაბალ კუთხეში გაუტანა გია გოგუას.

მატჩი „ლოკომოტივის" იერიშებით დაიწყო. ლაშა რეხვიაშვილმა თავურით აცილა, დავით სირაძემ კი ოციოდე მეტრიდან გაისროლა არაზუსტად. თავით ვერ გაასწორა მიზანი ირაკლი ვაშაკიძემ, მეორე ჯერზე იგივე მოუვიდა რეხვიაშვილსაც. პოლონური „რუხიდან" წამოსულ ფორვარდს ფეხითაც შეეძლო გატანა, მაგრამ მეტოქე მცველთა გარემოცვაში ახლოდან გოგუას ვერ აჯობა.

გურულებმა ერთი ძალიან სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს — ვლადიმერ გაბედავა მარჯვნიდან შეიჭრა „ლოკომოტივის" საჯარიმოში, მაგრამ სოსო გრიშიკაშვილის კარის ბადე გარედან ააფართხალა.

მეორე ტაიმის დასაწყისში რეხვიაშვილს ერთხელაც მართებდა გატანა — დაბალ ბურთს თავი უთავაზა, მაგრამ დარტყმა ძლიერი არ გამოუვიდა. შემდეგ სირაძემ ააცილა ჯარიმიდან. გოლის გატანა მასპინძელთა მცველმა ლაშა სალუქვაძემაც მოიწადინა, მაგრამ მისი მახვილი კუთხიდან დარტყმული გოგუამ მოიგერია. მერე ისევ სირაძე და კვლავ არაზუსტი დარტყმა. კარგი შანსი გაანიავა თემურ ბურნაძემაც.

ამასობაში დრო იწურებოდა, მაგრამ მატჩის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოთამაშემ სიჭინავამ სამქულიანი ჯარიმა გაისროლა.

გაშვებული გოლის შემდეგ „მერცხალი" ოდნავ გააქტიურდა შეტევაში, რაც გასათანაბრებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

*რევაზ არველაძე:* წინა მატჩთან შედარებით ბევრად უკეთესად ვითამაშეთ, მაგრამ „მერცხალი" ბრძოლისუნარიანი, ორგანიზებული გუნდი გამოდგა და ამიტომაც ერთობ გაგვიჭირდა. რაც შეეხება შეცვლაზე შემოსულ რევაზ ქემოკლიძეს, ის ჩამოყალიბებული ფეხბურთელია და ორკვირიანი შესვენება ვერ დაანგრევს — არ მოველოდით, თუ უთამაშებელი ქემოკლიძე დღეს ასე ითამაშებდა, ვფიქრობ, მას კიდევ აქვს დრო, რომ ნაკრების რუსეთთან მატჩისთვის სათანადო ფორმაში იყოს.

*სერგო გაბელაია:* წინა მატჩები კარგად ჩავატარეთ, მაგრამ დასანანია, რომ ძალების აღდგენა ვერ მოვახერხეთ. თუმც კარგი თამაში გამოვიდა, ბრძოლა იყო და რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ.

თბილისი. 1 ოქტომბერი. 16 საათი. ლოკომოტივი. 100 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:0 მერცხალი

1:0 სიჭინავა (80)

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი: გრიშიკაშვილი, ლ. სალუქვაძე, ვაშაკიძე, რ. ონიანი (გ. ონიანი 35) თ. ბურნაძე, უგრეხელიძე, სიჭინავა, ყღენტი (ქემოკლიძე 57), სირაძე, გოგინაშვილი, ლ. რეხვიაშვილი (ზამთარაძე 64) | მერცხალი: გია გოგუა, კობაური (გრიგორიევი 87), კვირკვია, ჯაბუა, ჭალიაშვილი, მჟავანაძე, ბართია (გ. წივწივაძე 66), ჭინჭარაული, გაბედავა, მებონია, კალანდაძე |
| სათადარიგონი: ხაჩირაშვილი, სოსელია, ძამსაშვილი, ხანიკიძე | სათადარიგონი: როხაძე, ჩიჩუა, სიამაშვილი |
| მწვრთნელი: რევაზ არველაძე | მწვრთნელი: სერგო გაბელაია |

გაფრთხილება: გაბედავა (41), ბართია (47)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ი. ადეიშვილი (დუშეთი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. ძკაროლლი (ქარელი)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: შ. ბაქრაძე

ჯარიმა: 5-15; კუთხური: 5-0; კარისკენ დარტყმა: 12-3; კარში დარტყმა: 4-0; თამაშგარე: 3-0





რევაზ არველაძემ და სერგო გაბელაიამ ერთმანეთის გუნდები მოუწონეს



რკინიგზელთა ეს შეტევა უგოლოდ დასრულდა



ქუთაისი. 1 ოქტომბერი. 16 საათი. ტორპედო

## ტორპედო 1:2 მცხეთა

0:1 წილვინაძე (63), 1:1 ახალკაცი (74), 1:2 ავალიანი (90)

| | |
|---|---|
| ტორპედო: სტურუა, ლ. ჭელიძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, ს. თოდუა, ნერგაძე, გამეზარდაშვილი, გ. ჩხეტიანი (ლადაძე 46), ბაბუნაშვილი, ზ. ქუთათელაძე (მუშკუდიანი 68), ახალკაცი<br>*სათადარიგონი:* სოშნიშვილი, კვერნაძე, დარსაძე, გოგოლაძე<br>მწვრთნელი: გელა კიკალეიშვილი | მცხეთა: ცინაძე, ლ. ამბიძე, ძაგნიძე, გ. ქებაძე, კირვალიძე, ლ. ქებაძე, თირქია (ავალიანი 62), ჩაჩუა, რაქვიაშვილი, ლ. ჩხაიძე (ხიდაშელი 77), წილვინაძე<br>*სათადარიგონი:* ბედუკაძე, ჯაფარიძე<br>მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი |

გაფრთხილება: ხვადაგიანი (21), თირქია (29), გ. ქებაძე (85)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ვ. სილაგავა; დირექტორი: დ. გოგია

ჯარიმა: 18-14; კუთხური: 7-2; კარისკენ დარტყმა: 4-0; კარში დარტყმა: 7-4; თამაშგარე: 1-5

# რაღაა იგი ტორპედო...

## გუცაევს ჩემპიონები მცხეთური ღვეზელი ჰგონია

ვაჟა ხუციშვილი ქუთაისიდან

**გუნდის** ზედიზედ ორი გამარჯვება ზოგადად გასაკვირი არაა, მაგრამ „მცხეთას" შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. ვლადიმერ გუცაევის შეგირდებმა ხუთ დღეში ერთიმეორის მიყოლებით თბილისის „დინამოს" და ქუთაისის „ტორპედოს" სძლიეს. რამდენ გუნდს გაიხსენებთ, რომელსაც ეროვნულ ჩემპიონატში მსგავსი რამ ჩაედინოს?

ცხადია, „დინამო" და „ტორპედო" დღეისთვის თავ-თავის პრობლემებს ებრძვიან, მაგრამ საეჭვოა, რომ მცხეთელებს ეს ამბავი აღელვებდეთ.

„ტორპედომ" ქუთაისში ბოლო წლების ერთ-ერთი უცუდესი მატჩი ითამაშა. გუნდის შუახაზი აშკარად მოშლილი იყო და შეტევების ორგანიზება ვერ მოახერხა. წინა ტურში ბოლნისში გაძევებულმა გიორგი ყიფიანმა შეხვედრა გამოტოვა, კახა კვეტენაძეც დისკვალიფიცირებული იყო, რამაც ქუთაისელთა თამაშს კვალი დაამჩნია. ყიფიანმა ოთხ მატჩში სამი ყვითელი და ერთი წითელი ბარათი მოინადირა და იგი, გელა კიკალეიშვილის თქმით, შესაძლოა გუნდიდან დაითხოვონ.

მასპინძლები პირველ ტაიმში ქაოსურად უტევდნენ. ხელოვნური თამაშგარეების ხარჯზე მეტოქის იერიშების ჩაშლას ცდილობდნენ და ერთ ეპიზოდში მცველებს სტუმარი ჩხაიძე გაექცათ. მცხეთელი მეკარესთან პირისპირ შესახვედრად მიჰქროდა ხვადაგიანმა რომ წააქცია. მსაჯს დამნაშავის გაძევება შეეძლო, თუმც მხოლოდ გაფრთხილება აკმარა. ვლადიმერ გუცაევი განრისხდა და არბიტრის გადაწყვეტილება გააპროტესტა. ორდინიძე პრეზიდენტ-მწვრთნელთან მივიდა და ტრიბუნაზე გადანაცვლება მოსთხოვა. გუცაევმაც კუთვნილი ადგილი მიატოვა.

მცხეთელებმა პირისპირ გასვლა მეორე ტაიმში მაინც შეირგეს. წილვინაძემ კვლავ ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას ისარგებლა და სტურუას გაეცალა.

მასპინძლებმა მალე გაათანაბრეს. მუშკუდიანი-ჭელიძე-ახალკაცის კომბინაცია გოლით დასრულდა. იშტაზე მოსულ „ტორპედოს" სამი ქულის გამოგლეჯა ეწადა და შეუტია კიდეც, მაგრა ბოლო წუთზე ავალიანმა ბრწყინვალე შორეული დარტყმით მატჩს წერტილი დაუსვა.

# დილა შორიდან გატყდა

თბილისი. 1 ოქტომბერი. 16 საათი. ეროვნული. 500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 2:0 დილა

1:0 დარასელია (54), 2:0 ანჩაბაძე (82)

| | |
|---|---|
| დინამო: ზოიძე, კარლოსი (ანჩაბაძე 58), წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია (კანდელაკი 78), ბურდული, მელქაძე (ალექსიძე 46), ახალაია<br>*სათადარიგონი:* გვარამაძე, ხიზანიშვილი, სახვაძე, მ. ბობოხიძე<br>მწვრთნელი: ივო შუშაკი | დილა: სოლოღაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, გ. ჩიტაია, ჯობაძე (მარღიშვილი 78), ძოძუაშვილი (ა. კაიდარაშვილი 54), რაზმაძე, ლ. გოჩაშვილი, ბ. ჩიტაია<br>*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, ოლქესაშვილი, ხანიშვილი, გ. კაიდარაშვილი, მასურაშვილი<br>მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი |

გაფრთხილება: ძოძუაშვილი (40)

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიაშვილი, მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: ნ. კაკულია

ჯარიმა: 13-15; კუთხური: 8-5; კარისკენ დარტყმა: 10-2; კარში დარტყმა: 8-7; თამაშგარე: 2-1



ივო შუშაკი

კობა ინასარიძე

**მცხეთაში** ნაწნევი მარცხის შემდეგ „დინამოს" გორის „დილა" ეწვია. ქართლელები ამ სეზონში საკმაოდ სტაბილურად თამაშობენ და ლიდერთა სამეულშიც ტრიალებენ. ზურაბ ხორგუაშვილმა ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე კარგი გუნდი შეკრა, რითაც „ეროვნულზე" გუშინდელ თამაშს ინტრიგა შემატა.

მასპინძლებს მცხეთური შთაბეჭდილებიდან მალე გამოსვლა ეწადათ, ამიტომ თავიდანვე შეუტიეს. დინამოელთა იერიშებს გორელებმა შეთამაშებული დაცვა დაუხვედრეს. სტუმართა მწვრთნელმა მეტოქის გათვალისწინებით წინა ხაზზე მხოლოდ ერთი ფორვარდი, ძერაბ ძოძუაშვილი გაამწესა და თამაშის კონტრშეტევებზე აწყობა სცადა. „დილას" საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა უკეთესად გამოუვიდა ვიდრე თბილისელ მცველთა შეწუხება.

ეულად მყოფ ძოძუაშვილს ზურგიდან დახმარებას აშკარად უგვიანებდნენ. ძირითად შემადგენლობაში ალექსანდრე კაიდარაშვილიც რომ ყოფილიყო, ეგებ ქართლელთა იერიშებს სიმწვავე შემატებოდა კიდეც თუმც, ზურაბ ხორგუაშვილის ჩანაფიქრმა პირველ ტაიმში გაამართლა. ერთადერთი საგოლე მომენტი მასპინძლებმა შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე შექმნეს, როცა მეტოქის კარს მთელი ძალებით მიაწყდნენ. ლადო ახალაიას თავურს რამაზ სოლოღაშვილი ვერ შესწვდა, მაგრამ მეკარეობა ხარიხამ იკისრა და ბურთი მოიგერია.

ამ ეპიზოდამდე სტუმართა კარის დარაჯი ორჯერ ვიტალი დარასელიამ ძლიერი დარტყმით შეაწუხა, თუმც სოლოღაშვილმა ორჯერვე ივარგა.

მეორე ტაიმში ივო შუშაკმა ლევან მელქაძის ნაცვლად მოედანზე რატი ალექსიძე შეუშვა. ლადო ახალიამ მარჯვენა ფრთა ჩაიბარა და მცველებს გვარიანი ჯაფა დაადგათ. მიუხედავად ამისა, სტუმართა საჯარიმოში დინამოელებმა ხეირიანი ვერაფერი შექმნეს. მატჩის შედეგის გადაწყვეტა ალბათ შორეულ დარტყმას უნდა გადაეწყვიტა და ასეც მოხდა. ვიტალი დარასელიამ დაახლოებით 25 მეტრიდან გაჩერებულ ბურთს გულიანად დაჰკრა და ცხრიანში შეაჭიკარტა. ამის შემდეგ მოედანზე ტრავმამოშუშებული გიორგი ანჩაბაძე გამოჩნდა, რომელმაც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაბრუნება გოლით აღნიშნა. შედეგიანი კომბინაცია ახალაიამ მარჯვენა ფლანგიდან დაიწყო. საჯარიმოში ბურთი ბურდულს მიაწოდა, რომელმაც კარის წინ ეულად დარჩენილი ანჩაბაძე მონახა და მანაც ანგარიში ორამდე გაზარდა.

თავის მხრივ ხორგუაშვილმა შეტევის გაძლიერება ალექსანდრე კაიდარაშვილით სცადა, მაგრამ ამ ცვლილებით ვერ იხეირა. გორელებს ერთი გოლის გაქვითვა შეხვედრის მიწურულს შეეძლოთ. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ჯერ ბექა ჩიტაიამ უთავაზა, მერე კი მისმა ძმამ, თუმცა ორჯერვე საქმეში ხარიხა ჩაერია.

ნამატჩევს „დილას" მწვრთნელმა თქვა: „პირველი ტაიმი ტაქტიკურ ბრძოლაში გაილია და ჩემმა გუნდმა დავალება კარგად შეასრულა, მეორეში კი გოლმა ოდნავ აგვრია. დავმარცხდით, მაგრამ „დინამოსთან" წაგება ტრაგედია არაა".

*ივო შუშაკი:* „ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანი თამაში იყო. ორ მატჩში გოლი ვერ გაგვეტანა და ნავსი გავტეხეთ. გორელთა სიძლიერის ამბავი ვიცოდით, მათ ნამდვილად ღირსეულად ითამაშეს".



ვიტალი დარასელიას შორეულმა დარტყმამ „დინამო" დააწინაურა

ფოთი. 1 ოქტომბერი. 16 საათი. ფაზისი. 500 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 1:1 სიონი

0:1 გონჩაროვი (11), 1:1 ლალანიძე (62)

კოლხეთი: ბათიაშვილი, დ. ნარსია, გიგიაძე, შალამბერიძე, მინდაძე, მარგალიტაძე, ლალანიძე, გაგუა, გოჩალეიშვილი (ხურცილავა 53), დ. გოდერძიშვილი (ჩემია 90), ტყებუჩავა
მწვრთნელი: გია ტყებუჩავა

სიონი: ვოლკოვი, ბაქრაძე, ჭიჭვეიშვილი, ხუჯაძე, გაბიდაური, გუჩუა, გილაური, კოშკაძე, ისიანი (ფანჩულიძე 77), გონჩაროვი, გაბისკირია (კვაკვესკირი 72)
სათადარიგონი: ა. ლაბაძე, გ. შენგელია, ბ. წივწივაძე, დარსანია
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაფრთხილება: გუჩუა (47), მინდაძე (62), გონჩაროვი (67)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); ჯ. მესხი (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა; დირექტორი: ვ. კობალეიშვილი

ჯარიმა: 12-16; კუთხური: 3-8; კარისკენ დარტყმა: 3-8; კარში დარტყმა: 3-2; თამაშგარე: 1-3

# ეპიდემიამ გაბელიას ხასიათი მოუწამლა



გოჩა ჯანაშია ფოთიდან

**ზედიზედ** ოთხი მატჩის წაგებ „კოლხეთს“ „სიონთან“ ფრე რომ გაეხერხებინა არავის გაუკვირდებოდა, თუმც გუშინდელი თამაშის შედეგი მაინც ალოგიკურად მოგვეჩვენა. რატომ? დახედეთ კოლხთა შემადგენლობას და თავად მიხვდებით.

ერთბაშად ცხრა მოწამლულ-ტრავმირებული ფეხბურთელი ვერ ათამაშა „კოლხეთმა“. ის კი არა, 11 კაცის შეკრებაც დიდი პრობლემა ყოფილა და გაგუა და გოდერძიშვილი ბოლო მომენტში რომ არ გამოჩენილიყვნენ ფოთში, დიდი შანსი იყო, „სიონს“ კაცნაკლულ მეტოქესთან ეთამაშა.

არადა, კოლხებს დიდი სურვილი ჰქონდათ, ეს თამაში გადადებულიყო. ფედერაციასაც არაერთხელ მიმართეს თხოვნით, მაგრამ უარი მიიღეს. ჰოდა, მეტი რა გზა იყო, ერთ-ერთ ლიდერთან ახალბედებით უნდა ეთამაშა.

მატჩი დაიწყო თუ არა, უმალ გამოჩნდა, „კოლხეთი“ ბრძოლას ვერ გაუმართავდა მეტოქეს. სწრაფი გოლიც ამაზე მეტყველებდა. მე-11 წუთზე გაბიდაურმა ლამის მთელი მოედანი გადასერა, გზად მეტოქენი იოლად ჩამოიცილა და მარჯვნიდან საჯარიმოში შეჭრილ გონჩაროვს დაუგორა ბურთი, ამანაც მძლავრად დაჰკრა და ახლო კუთხეში გაუტანა ბათიაშვილს.

ამ გოლმა ვერაფრით შეცვალა თამაშის მიმდინარეობა. სტუმარ-მასპინძელი მშვიდად აგორებდა ბურთს. და უფრო ხშირად სტუმრები ახერხებდნენ მეტოქის კართან ხიფათისმაგვარი ეპიზოდების შექმნას.

მშვიდად ჩავლილი პირველი ტაიმის ფონზე „ფაზისზე“ შეკრებილთა უმეტესობას მატჩის ბედი გადაწყვეტილი ეგონა. ასეც მოხდებოდა, 52-ე წუთზე გონჩაროვს ჩინებული შანსი ხელიდან რომ არ გაეშვა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც თამაშგარის ზღვარზე მყოფს ისიანმა კარგი პასი მიაწოდა, გონჩაროვიც მარტო დარჩა მეკარესთან, ფინტით იოლად გააცურა კიდეც, მაგრამ კარში დარტყმა ზედმეტად ტექნიკურად მოინდომა და ზედმეტიც მოუვიდა — ხარიხას გადააშორა ბურთი.

ამ ეპიზოდმა ჯერ გაბელია გააცეცხლა, ეს რა გოლი ვერ გაიტანეო. კოლხი მინდაძე კი თანმსაჯს მიეჭრა თამაშგარე რად არ დააფიქსირეო. ჰოდა, მინდაძემაც ყვითელი ბარათი ირგუნა, ხოლო „კოლხეთი“ ისე გაბრაზდა, ათიოდ წუთში მეტოქე ვერგატანილი გოლისთვის დასაჯა.

საჯარიმოს მარცხენა კიდესთან კოლხებმა ჯარიმა მოინადირეს. შალამბერიძემ მოულოდნელად კარისკენ ჩაწოდება გადაიფიქრა და იქვე მყოფ ლალანიძეს დაუგორა, ზაველიმაც არც აცია, არც აცხელა და ჩვეულად დააქუხა. ბურთმა რიცხვმრავალ ქვემოქართლელ მცველებს შორის ჩაიქროლა და მხედველობადაკარგული ვოლკოვის კარის შორეულ კუთხეში აღმოჩნდა.

ამ გოლმა საპირისპიროდ შეცვალა სიტუაცია. მასპინძელთა ახალბედებს სიმამაცე შეემატათ და „სიონის“ აქამდე არსებული უპირატესობაც თვალსა და ხელს შუა გაქრა. ყველაზე მეტად ვერცხლისწყალივით სწრაფი ედიშერ მარგალიტაძე გამოირჩეოდა, რომელმაც მარცხენა ფლანგზე ბევრი თავსატეხი გაუჩინა მეტოქე მცველებს.

გაბელიამ საშიშროება იგრძნო და ორი შეცვლით დაცვა გააძლიერა. ფანჩულიძის გამოჩენამ კი „სიონი“ კვლავ გამოაცოცხლა და 86-ე წუთზე კოლხები აშკარა გოლს გადაურჩნენ. კოშკაძის ჩაწოდებულ კუთხურს ჭიჭვეიშვილმა დაახლოებით შვიდი მეტრიდან მძლავრი თავური მიაყოლა, ივარგა ბათიაშვილმა, შესაშური რეაქციის ხარჯზე ბურთი კუთხურზე უკუაგდო.

ბოლო წუთებში სტუმრებმა ძალაგამოლეულ მეტოქეზე ზეწოლა მოახერხეს. საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს, მაგრამ აქედან ვერაფერი მოიმკეს.

„კოლხეთს“ სულ ორი ფეხბურთელი ჰყავდა სათადარიგოთა შორის. აქედან ერთი, ბიძინა ჩემია მეკარე იყო. თუმც რაღა მეკარე, როცა ბოლო წუთზე ის მოედანზე შევიდა და არა ბათიაშვილის, არამედ უვარჯიშებელი და გადაღლილი გოდერძიშვილის ნაცვლად. რას იზამ, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, ეს ზუსტად კოლხებზე ითქმის.

ნამატჩევს მასპინძლები მოგების ტოლფასი ფრით კმაყოფილნი ჩანდნენ, სტუმრებისა კი რა მოგახსენოთ, მართალია, პრესკონფერენციაზე გაბელიამ იუარა, ფოთში უცილობელ სამ ქულას ვგეგმავდითო, მაგრამ არა გვგონია, გულში ეს სურვილი არ ჰქონოდა, მით უმეტეს კარგად იცოდა რა დღეში იყო მისი გუშინდელი მეტოქე.

მცხეთა. 1 ოქტომბერი. 16 საათი. არმაზი. 100 (ტევადობა 3 000)

## სპარტაკი 1:1 ბათუმი

0:1 წურწუმია (4ს.კ.), 1:1 გეგეშიძე (36ს.კ.)

სპარტაკი: მამალაძე, წურწუმია (გ. დოლიძე 39), ცვანია, დონდოლაძე, ჩიკვილაძე, ბოლქვაძე, ალადაშვილი, იმნაიშვილი, გ. თოდუა, ტატანაშვილი (კვერენჩხილაძე 58), კოტრიკაძე
სათადარიგონი: შეყრილაძე, იბრალიძე, ბ. გოცირიძე, ფირცხალავა, შამუგია
მწვრთნელი: ვასილ ჭეიშვილი

ბათუმი: ქვაჩახია, ბეგლარ თედორაძე, გეგეშიძე, გუშარაშვილი, დუმბაძე, ბესიკ თედორაძე (ქაცარავა 69), კობიძე (ცანავა 74), ი. შენგელია, მაჩხავა, კაკალაძე, სირბილაძე
სათადარიგონი: ი. ბალაძე, ბეჟანიძე, რომანაძე, მ. სალუქვაძე, გალოგრე
მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: შენგელია (54), ბოლქვაძე (56), ჩიკვილაძე (66)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ჯ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; ა. შალამბერიძე (ყველა ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ქელიძე; დირექტორი: რ. ლორთქიფანიძე

ჯარიმა: 26-21; კუთხური: 8-6; კარისკენ დარტყმა: 8-6; კარში დარტყმა: 9-5; თამაშგარე: 4-2

# ჩემი შენ გაიტანეო



მეორე მატჩია, ვასილ ჭეიშვილის „სპარტაკი“ ვერც იგებს, არც აგებს

გიორგი ვაშაკიძე მცხეთიდან

**ალბათ** ვერავინ იტყვის, გუშინდელი მატჩის შედეგი ალოგიკური და უსამართლოაო. მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, თამაშიც თანაბრად მიმდინარეობდა, ხან მასპინძელი მძლავრობდა, ხანაც სტუმარი.

საინტერესო და ალბათ შედეგიდან გამომდინარეც სიმბოლურია, რომ ორივე გუნდის მცველებმა ავტოგოლები მიითვალეს.

ბათუმელთა მიერ „გატანილი გოლი“ ხომ საერთოდაც კურიოზული იყო, ბესიკ თედორაძის ფლანგურ გარღვევას და მის მიერვე საჯარიმოში არცთუ ძლიერ, დაბალ ჩაწოდებულს წურწუმია გამოეხმაურა, მოიერიშე კაკალაძემდე ბურთს როგორ მივუშვებო და ფეხი დაუხვედრა — სურვილი, ბურთი კუთხურზე გადაეგდო, სურვილად დარჩა და საკუთარი კარის ბადეში აფართხალებული ბურთი იხილა. თუმც ზურაბ მამალაძის შეცდომაზეც უნდა ითქვას, ბესიკ თედორაძის ჩაკიდული უპირველესად მისი ლუკმა უნდა ყოფილიყო.

ვასილ ჭეიშვილის შეგირდებმა 36-ე წუთზე გაათანაბრეს. ამჯერად თავი ვასილ გეგეშიძემ გამოიჩინა, მაგრამ ერთიცაა, ჩიკვილაძის მარცხენა ფლანგიდან ჩაკიდებულ ბურთისთვის გეგეშიძე მასპინძლებს — კოტრიკაძეს და ბოლქვაძეს შეეტოქა, მაგრამ მისი თავიდან ასხლეტილმაც ქვაჩახიას კარის ბადე შეარხია.

მეორე ტაიმში ორივე გუნდს შეეძლო ეხეირა, სტუმართაგან ორი ირაკლი — შენგელია და სირბილაძე აქტიურობდნენ, მასპინძელთაგან კი გამორჩეული ბოლქვაძე იყო.

ბოლოსკენ ჩანდა, „ბათუმი“ ფრეზეც თანახმა იყო. მასპინძლები კი განწირულებივით უტევდნენ. რომ არ წააგეს, ბათუმელები მეკარე ზურაბ ქვაჩახიას უნდა უმადლოდნენ, რომელმაც ჯერ შეცვლაზე შესული კვერენჩხილაძის ურთულეს თავურს და მერე გია თოდუას შორიდან გასროლილს ბრწყინვალე, ნახტომები შეაგება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 3 | 1 | 17:5 | 21 |
| დინამო | 10 | 6 | 2 | 2 | 25:5 | 20 |
| დილა | 10 | 6 | 1 | 3 | 15:8 | 19 |
| სიონი | 10 | 5 | 4 | 1 | 12:6 | 19 |
| ლოკომოტივი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 15 |
| ტორპედო | 10 | 4 | 2 | 4 | 9:9 | 14 |
| მცხეთა | 10 | 4 | 1 | 5 | 11:19 | 13 |
| თბილისი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:14 | 11 |
| კოლხეთი | 10 | 3 | 2 | 5 | 8:11 | 11 |
| ბათუმი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:13 | 10 |
| მერცხალი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:20 | 8 |
| სპარტაკი | 10 | 1 | 3 | 6 | 4:21 | 6 |

# კოვალევსკიმ ლომაიას პენალტი აუღო



გიორგი ლომაია

**საქართველოს** ნაკრების მეკარე გიორგი ლომაიას მოსკოვის „სპარტაკში“ გადასვლა არც ისე იღბლიანი გამოდგა. ჩვენებური პოლონელ ვოიცეხ კოვალევსკის კონკურენციის დაძლევას დღემდე ცდილობს. ლომაიამ მოსკოვში გამგზავრებამდე „სარბიელს“ ინტერვიუშიც განუცხადა, რომ კონკურენციის არ ეშინოდა, მაგრამ ახალ გუნდში მისულს კოვალევსკისგან ერთი „უსიამოვნო“ ამბავიც დახვდა: „სახალხო გუნდის“ პოლონელმა მეკარემ პირველივე მატჩში ბრწყინვალედ ითამაშა და პენალტიც მოიგერია. ცხადია, ამის შემდეგ მას კიდევ უფრო ენდობა „სპარტაკის“ თავკაცი ვლადიმირ ფედოტოვი. ლომაია კი, ამასობაში, ოდენ სათადარიგოობას სჯერდება.

„სპარტაკის“ კარისკენ გზა ადრე თუ გვიან ალბათ გიორგისაც გაეხსნება, მაგრამ ამას ერთი ფაქტიც შეაყოვნებს — გუშინ მოსკოვური კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ „სპარტაკი“ კოვალევსკის გამოსყიდვას აპირებს.

შეგახსენებთ, რუსებს კოვალევსკი დონეცკის „შახტარმა“ 2003 წლის 1 დეკემბრამდე ათხოვა, თუმც „წითლები“ იმდენად მოიხიბლნენ პოლონელის გარჯით, რომ უახლოეს დღეებში უკრაინელებს ტრანსფერზე შესათანხმებლად ესტუმრებიან.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. II ტური

### A ჯგუფი

# სადაური წესია?

## გერმანელებმა უმცირესობაშიც იციან

**სელტიკი 2:0 ლიონი**

1:0 მილერი (70), 2:0 სატონი (78)
*ტომპსონმა ვერ გაიტანა პენალტი (41 მეკარე)*
სელტიკი: ჰედმანი, მაკნამარა, ბალდე, ვარგა, ა. ტომპსონი, აგატი, ლენონი, პეტროვი, სატონი, ლარსონი, ჰარტსონი (მილერი 64)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ლიონი: კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, მიულერი, დიარა, რეველიერი, ჟუნინიო, კარიერი (ესიენი 62), დორასო (ლუინდულა 74), ელბერი, გოვუ (მალუდა 79)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
გაფრთხილება: ტომპსონი, დიარა
მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)
58 027 მაყურებელი


სელტიკი — ლიონი. ჟოვანი ელბერი მარტო ვერაფერს გახდა

როგორც წესი, „სელტიკს" გოლები ასე გააქვს: ჰენრიკ ლარსონს პასს აძლევენ, ის კი კარში ურტყამს. საფრანგეთის ჩემპიონთან ჩემპიონთა ლიგის საშინაო შეხვედრაში კი ყველაფერი უკუღმა დატრიალდა — შოტლანდიელთა ორივე გოლი ლარსონის პასებით გავიდა. არაშვედური იერის შვედმა ჯერ შეცვლაზე შესულ ყმაწვილ ლიამ მილერს გაატანინა, მერე კი კრის სატონს. გლაზგოელებმა გოლები მეორე ტაიმის 8-წუთიან მონაკვეთში შეაგდეს.

ისიც სათქმელია, რომ მასპინძლებს პირველ ტაიმშივე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ ლიონელთა მეკარე გრეგორი კუპემ ალან ტომპსონს პენალტი აუღო.

ნამატჩევს „სელტიკის" მენეჯერი მარტინ ონილი სტუმართა ქებით ვერ გაძღა, „ლიონი" დიდი გუნდია და ბრწყინვალედ ითამაშა. ონილს მეტოქის ქება იმად დასჭირდა, მერე რომ ეთქვა, ნახეთ, როგორი ძლიერი მეტოქე დავამარცხეთო.

„სელტიკს" ვერგატანილ პენალტამდეც ჰქონდა გატანის შანსი. მეშვიდე წუთზე ლარსონი ტომპსონის ჩაწოდებულს ხეირიანად ვერ მისწვდა, თორემ უთუოდ გაიტანდა. სამ წუთში სატონმა გაანიავა კარის დალაშქვრის მშვენიერი შანსი. კიდევ ხუთი წუთი და, ლარსონმა ისეთი ბურთი გააფუჭა, რომლის გატანაც ვერგატანაზე იოლი იყო. ერთი სიტყვით, იმის აღნიშვნა გვსურს, რომ „სელტიკი", როგორც იტყვიან, თავზე აჯდა მეტოქეს. „ლიონს" კი ერთადერთი სახიფათო მომენტი ჰქონდა, ჟოვანი ელბერის შექმნილი.

პირველი ტაიმის მიწურულს ანტონი რეველიერმა სულ ოდნავ დაქაჩა ჰენრიკ ლარსონს, მაგრამ ეს საკმარისი იყო, რომ ლარსონი ეფექტურად გაგორებულიყო მინდორზე. პენალტი ვინაც გააფუჭა, თავში მოგახსენეთ.

„სელტიკმა" იერიშები ორი გოლის გატანის მერეც განაგრძო, „ლიონს" კი თავი არაფრით გამოუჩენია.

ფრანგთა მწვრთნელმა პოლ ლე გუენმა თქვა, მოედნის შუაგულში ბურთის დაჭერა არ გვიჭირდა, მაგრამ იერიშის წამოწყებისას მასპინძელთა ისეთ წინააღმდეგობას ვხვდებოდით, ვერაფერი გავაწყეთ, თანაც გლაზგოელი ქომაგებიც მეტისმეტად ხმაურობდნენო.

მარტინ ონილმა კი სვენ გორან ერიკსონს უფასო რჩევა მისცა: რა ჩემი საქმეა, მაგრამ მიკვირს, ინგლისელები ალან ტომპსონს ნაკრებში რატომ არ იყენებენო.

**ანდერლეხტი 1:1 ბაიერნი**

1:0 მორნარი (63), 1:1 სანტა კრუზი (74)
ანდერლეხტი: ზიტკა, ფეელაკოვი, ტიჰინენი, კომპანი, დეშახტი, ჰენდრიქსი (კლარიო 82), ჰასი, ბასეჯიო, ხეოლი, მორნარი (ზეტერბერგი 86), დინდანე
მწვრთნელი: უგო ბროოსი
ბაიერნი: კანი, კუფური (სალიჰამიჯიჩი 73), ლინკე, რობერტ კოვაჩი, ლიზარაზუ, დემიკელისი, ჰარგრივსი (შვაინსტაიგერი 63), ბალაკი, ზე რობერტო (სანტა კრუზი 62), მაკაი, პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ჰასი, პიზარო, პიზარო, კუფური, ჰენდრიქსი
გაძევება: პიზარო (35)
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
28 000 მაყურებელი

შარშანდელი კრახის აჩრდილი არ ასვენებს მიუნხენის „ბაიერნს". პირველ ტურში გერმანელები „სელტიკთან" აგებდნენ და ჰოლანდიელი როი მაკაის წყალობით გადარჩნენ. მეორე ტურში გერმანელები ისევ მარცხდებოდნენ და ისევ გაუმართლათ. ამჯერად მათი მხსნელი პარაგვაელი როკე სანტა კრუზი შეიქნა, ვინაც „ბაიერნს" ერთი ქულა გადაურჩინა. ამასთანავე, „ბაიერნი" იმ დროისთვის უმცირესობაში იყო დარჩენილი, რაკი პერუელმა კლაუდიო პიზარომ ერთ წუთში ორი ყვითელი ბარათის მიღება მოახერხა.

უგოლო პირველი ტაიმის მერე ბელგიელები ხორვატმა ივიცა მორნარმა დააწინაურა. არუნა დინდანე მარცხენა ფლანგზე მეურვეს ოსტატურად გასცდა და კარის ხაზის გასწვრივ ჩააწოდა, სადაც მორნარი ბურთისთვის ფეხის წასართყმელად მზად იყო. ოლივერ კანი, ვინაც მესამე საევროთასო მატჩს ატარებდა, უძლური იყო, რამე ელონა.

კიდევ კარგი, ოტმარ ჰიცფელდმა სწორი შეცვლები გააკეთა და საპასუხო გოლიც ახალშესულების, სანტა კრუზისა და ჰასან სალიჰამიჯიჩის კომბინაციას მოჰყვა.

„ჩვენსა და მიუნხენელებს შორის განსხვავება დღევანდელმა მატჩმა თვალსაჩინოდ გამოაჩინა — თქვა ბელგიელთა განაპირა მცველმა ოლივერ დეშახტმა — მათ იციან, როგორ უნდა ითამაშონ ათი ფეხბურთელით, ჩვენ კი რიცხობრივი უპირატესობისას ანგარიშის შენარჩუნებაც ვერ მოვახერხეთ."

არუნა დინდანემ კი დასძინა, რალაც პერიოდში გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყავი და გულმოკლული ვარ, ოდენ ქულას რომ გამოვრჩითო.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სელტიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ანდერლეხტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

### B ჯგუფი

# მე უკუღმაც კარგად ვხედავ

## ექიმმა ვიერის კეფაზე თვალები დააკრა


კრისტიან ვიერი

**ინტერი 2:1 დინამო**

1:0 ადანი (23), 1:1 ფიოდოროვი (34), 2:1 ვიერი (90)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, ადანი, ი. კორდობა, ვან დერ მეიდე (მელვეგი 61), ემრე ბელოზოღლუ, კ. ძანეტი, კილი გონსალესი, კრუზი (კალონი 78), მარტინსი (ვიერი 59)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
დინამო: შოვკოვსკი, ფიოდოროვი, დმიტრულინი (ხაცკევიჩი 68), ნესმაჩნი, საბლიჩი, ბელკევიჩი, ლეკო, პეევი, გიოანე, რინკონი, შაცკიხი (მელაშჩენკო 86)
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
გაფრთხილება: რინკონი, საბლიჩი, ლეკო, ემრე ბელოზოღლუ
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
24 326 მაყურებელი

„ინტერი" და მისი ქომაგები კიეველებმა გვარიანად გააწვალეს. ფიზიკურად ფრიადზე მომზადებული უკრაინული გუნდი 90 წუთის განმავლობაში მასპინძლებს თანაბრად ეთამაშა და კრისტიან ვიერის მზაკვრული თავური რომ არა, სტუმრები „სან სიროდან" ქულას წაიღებდნენ.

ექტორ რაულ კუპერს ექიმებმა ვიერი დროულად შეაშველეს, რადგან სწორედ „ბობოს" ჯანმა და მოულოდნელობამ იძალა. „ინტერის" მწვრთნელმა ნამატჩევს თქვა: „დინამომ" მაღალი კლასის გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა მისი ძალისხმევა გასამარჯვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. უკრაინელები 34-ჯერ დაჯარიმდნენ და ამ ხერხით ჩვენს შეტევებს წამდაუწუმ შლიდნენ. მთლიანობაში მატჩი ისეთი სცენარით წარიმართა, როგორც ვვეგმავდით. ვიცოდი, რომ კიეველები კონტრიერიშებს ძალიან კარგად იყენებენ და ყველაზე მეტად ეს მაღელვებდა. მართალია, ეფექტურად ვერ ვითამაშეთ, თუმცა მონდომება სამი ქულით დაგვიფასდა. რაც შეეხება შეცვლაზე კრისტიან ვიერის შეყვანას, შეხვედრის წინა დღეს ექიმებს დიდხანს ვესაუბრე. „ბობო" საბურთაოდ იწევდა და მეც ვენდე".

პირველ ტაიმში გოლები მეკარეთა შეცდომების შედეგად გავიდა. მილანელები დანიელ ადანიმ დააწინაურა. ემრემ ძელთან ჩაჰკიდა, კანავარომ თავური დაჰკრა და შოვკოვსკიმ ვერ მოთელა ბურთი, რომელიც ადანის მიუგორდა. მასაც ორიოდ მეტრიდან გატანა არ გასჭირვებია.

იტალიელთა სიხარული სტუმრებმა თერთმეტ წუთში გაანელეს. ამჯერად ფრანჩესკო ტოლდო შეცდა. მარცხენა ფლანგიდან კარის წინ ძლიერად გასროლილი ბურთი ტოლდოს ხელიდან გაუვარდა, ფიოდოროვმა კი დასწრებაზე უზადოდ ითამაშა და ანგარიში გაათანაბრა.

შესვენების შემდეგ ობაფემი მარტინსის ნაცვლად მოედანზე ბურთს მონატრებული კრისტიან ვიერი გამოჩნდა, რომელსაც კიეველი მცველები აეკვიატნენ, მაგრამ „ბობომ" სწორედ მაშინ გაიტანა, როცა კარისკენ ზურგით იდგა და მისგან ხიფათს არავინ ელოდა.

ალექსეი მიხაილიჩენკო: „ვფიქრობ, „ინტერი" გამარჯვებას არ იმსახურებდა. სამი ქულის წაღება ნამდვილად შეგვეძლო, რადგან მეტოქემ იოლად გასაშიფრი ფეხბურთი შემოგვთავაზა. ჩემს ფეხბურთელებს ბოლოსკენ ნერვიულობა დაეტყოთ და ამიტომ დავისაჯეთ".

**ლოკომოტივი 0:0 არსენალი**

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, იგნაშევიჩი, პაშინინი, სენიკოვი, იზმაილოვი, მამინოვი, ევსეევი (ნიდეგოროდოვი 73), გურენკო, ლოსკოვი, ხოხლოვი, პავლიუჩენკო (პიმენოვი 66)
მწვრთნელი: იური სიომინი
არსენალი: ლემანი, ლორენი, ტურე, კოული, ე. კოული, პირესი, პარლორი, ჟილბერტო სილვა, ედუ, ანრი, ვილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ნიდეგოროდოვი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
30 000 მაყურებელი

მოსკოვის „ლოკომოტივმა" შარშანდელი გზა გაიარა. რკინიგზელებმა ერთი წლის წინ ჩემპიონთა ლიგაში ასე დაიწყეს — პირველ მატჩში 0:2 დამარცხდნენ, მეორე კი უგოლო ფრით დაასრულეს.

რუსეთს შეთხელებული „არსენალი" ეწვია. „მეთოფეებს" პატრიკ ვიეირა და ფრედერიკ ლიუნგბერგი ტრავმების გამო დააკლდათ. სოლ კემპბელს ორი კვირის წინ მამა გარდაეცვალა და გუნდს არ ახლდა.

ეს იყო ორი ისეთი მეტოქის თამაში, სამი ქულის მოპოვება უმცირესი დანახარჯით რომ სურთ. სიფრთხილის მიზეზი გასაგებია — პირველ ტურში დამარცხებულებს შანსების საბოლოოდ მოსპობა მეორე ტურშივე არ ეწადათ. ამიტომ მოსკოვში მობურთალებმა ცხრა წყვილი თვალ-ყური გამოიბეს. სტუმარ-მასპინძელი დაცვაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე შეტევაზე. საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვამ სანახაობრივი მხარე მოსპო, თუმცა დაძაბულობა მთელი მატჩის განმავლობაში არ განელებულა.

საგოლე მომენტებს თუ ამოვქექავთ, ასეთების დეფიციტი იყო. მეტოქეები ერთმანეთის ფორვარდებს საჯარიმოს მისადგომებამდე უშვებდნენ, შიგნით შეღწევა კი ერთობ რთული საქმე გახლდათ. ორ რიგად გამწკრივებული მცველები თავდამსხმელებს გალაღების საშუალებას არ აძლევდნენ.

მატჩის მიწურულს „არსენალის" მცირედი უპირატესობა „ლოკომოტივის" დაღლილობის ფონზე გამოჩნდა, მაგრამ ლონდონელებმა მასპინძელთა მოქანცვა საგოლედ ვერ გამოიყენეს.

არსენ ვენგერი: „ჩვენ გამარჯვებებს მივეჩვიეთ, ამიტომ ნამატჩევს გული დაგვწყდა, რადგან ოდენ ქულა გვერგო. ფეხბურთელებთან საპრეტენზიო არაფერი მაქვს. მათ თავი არ დაუზოგავთ, თუმცა რუსებმა დაცვაში შესანიშნავად ითამაშეს. სამწუხაროა, რომ ზედიზედ მეორე მატჩში გოლი ვერ გავიტანეთ. მსგავსი რამ „არსენალში" ჩემი ყოფნის პერიოდში არ მახსოვს".

იური სიომინი: „სრულიად თანაბარი ბრძოლა იყო და მოგება ორივე გუნდს შეეძლო. „ლოკომოტივმა" ტაქტიკურად გამართულად ითამაშა და დავალება თითქმის ზედმიწევნით შეასრულა".

**მაია ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. II ტური

## C ჯგუფი

# დიდი მორიენტესი

**მონაკო 4:0 აეკ**

**1:0 ჟიული (23), 2:0, 3:0 მორიენტესი (27, 57), 4:0 პრსო (86)**
**მონაკო: რომა, გივე, სკილაჩი, როდრიგესი, ევრა, ჟიული, ბერნარდი, ზიკოსი, როტენი (პლასილი 84), მორიენტესი (პრსო 76), ადებაიორი (ე. სისე 69)**
**მწვრთნელი: დიდიე დეშანი**
**აეკ: ხიოტისი, გეორგიასი, მორასი (ცარტასი 62), ამპონსაჰი, კრეკი (კოსტენოღლუ 15), ოკასი, კაცურანისი, ზაგორაკისი (კასაპისი 75), მალადენისი, გეორგატოსი, ნ. ლიბეროპულოსი**
**მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი**
**გაფრთხილება: კაცურანისი, ამპონსაჰი**
**მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)**
**14 500 მაყურებელი**

30 სექტემბრის საღამოს „მონაკომ“ „ლუი მეორეს“ მცირერიცხოვანი პუბლიკის თანდასწრებით საჩემპიონთალიგო გამარჯვების მაძიებელი ათენური აეკ-ი შეუბრალებლად გაანადგურა. 4:0 გახლდათ ამ სპექტაკლის საბოლოო შედეგი, ხოლო მისი მთავარი მოქმედი გმირი კი ექსრეალელი ფერნანდო მორიენტესი. „რეალისგან“ საფრანგეთში უგულოდ გამეტებულმა „ელ მორომ“ დიდიე დეშანის გუნდი ორი გადამწყვეტი და ლამაზი გოლით აჰეირა, იქაური გულშემატკივარი კი მომავალ გამარჯვებათა მტკიცე იმედით დაასაჩუქრა.

მატჩი სტუმართა შეტევებით დაიწყო. კვიპროსელი ოკასი ორგზის ცდილობდა რომას კარის დალაშქვრას, თუმცა მისი არაზუსტი დამიზნების გამო ტაბლოზე ანგარიში არ შეცვლილა. შემდეგ კი „მონაკომ“ სრული საიერიშო ფიესტა გამართა, სადაც ბერძნებმა ოდენ მეთვალყურის როლი შეასრულეს. აეკ-ის კარის დარაჯ დიონისის ხიოტისს მთელი თამაშის განმავლობაში საქმე არ მოჰკლებია. 23-ე წუთზე მორიენტესის მარცხენა ფლანგზე ჩაუქი ბურთაობის შემდეგ როტენმა ჟიულის გადააწოდა, იმან კი ელინთა გამტეხი პირველი გოლი შეაგდო. ხუთი წუთის შემდეგ ხიოტისი და მისი მცველები იმავე „ელ მორომ“ დააწიოკა — 2:0. ესპანელს პირველი ტაიმის მიწურულსაც შეეძლო გაეტანა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ შეყრილს დამაგვირგვინებელი დარტყმა არ გამოუვიდა. სამაგიეროდ, ტაიმთაშორის შემდეგ მოახერხა ამ შეხვედრაში დუბლი გაეკეთებინა — 3:0 56-ე წუთზე. აგონიაში მყოფი აეკი ოდენ ღირსების გოლისთვისღა იბრძოდა, თუმცა კი მორიენტესის ნაცვლად შესული პრსოს უძლიერეს გასროლას ვეღარ გაექცა. დასასრულ — 4:0, „მონაკო“ C ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი, ხოლო ჩაუქი „ელ მორო“ ციცქნა სათავადოს დიდი სიყვარული.



მონაკო — აეკ. ემანუელ ადებაიორმა ბერძენთა მეკარე ხიოსტისს ლამის თავი წააცალა

**დეპორტივო 2:0 პსვ ეინდჰოვენი**

**1:0 სერხიო (20), 2:0 პანდიანი (51)**
**დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, მაურო სილვა, სერხიო, ვიქტორი, ვალერონი (მუნიტისი 81), პანდიანი (ტრისტანი 59), ლუკე (ფრანი 46)**
**მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა**
**პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ჰოფლანდი, ოოერი, ბუმა, ი. ლი, რომედალი, ვან ბომელი, ფოგელი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 79), ვან დერ შააფი (რობენი 54), კეჟმანი, პარკი**
**მწვრთნელი: გუს ჰიდინკი**
**გაფრთხილება: ნაიბეტი, ჰოფლანდი, ოოერი, ვიქტორი**
**მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)**
**25 000 მაყურებელი**

გუს ჰიდინკის პსვ-მ წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. გალისიურ „რიასორზე“ 25 ათასი ადგილობრივი ინჩასის გასახარად, იქაურთა „დეპორტივომ“ მომხვდურ ჰოლანდიელებს სამი ქულა აართვა. ლაკორუნიელთა ფლაგმანი თავის ისტორიაში ნიდერლანდულ კლუბს ოფიციალურ დონეზე პირველად შეხვდა და ორგოლიანი გამარჯვებაც იზეიმა. მატჩის დასაწყისი კი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა, კეჟმანმა და რომედალმა მოლინას საჯარიმო რამდენჯერმე საჩიფათოდ მოინახულეს, ხუან ვალერონი კი ეინდჰოვენელთა ვან დერ შააფის მჭიდრო მარწუხებში მოექცა. წესითა და რიგით ტაბლოც სტუმარცა უპირატესობის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე-20 წუთზე სწორედ შააფის უხეშობისთვის დანიშნული საჯარიმო გამოიყენა სერხიომ ოსტატურად — 1:0. პირველ ტაიმში, მიუხედავად ჰიდინკის შეგირდთა მცდელობისა, „დეპორმა“ ანგარიშის შენარჩუნება შეძლო. მეორეში კი დანიელმა არბიტრმა კლაუს-ბო ლარსენმა მორიგი თავგასულობისთვის ახლა უკვე პენალტით დასაჯა პსვ (იქამდე ვალერონმა გააფუჭა გოლის გატანის კარგი შანსი). ოიერმა მომგებიანი თავურისთვის გამზადებული ვალერონი მოცელა, ვალტერ პანდიანიმ კი თერთმეტმეტრიანი დარტყმით ჩემპიონთა ლიგაში თავისი მეორე ბურთი შეაგდო — 2:0 51-ე წუთზე.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| დეპორტივო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| აეკ | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| პსვ ეინდჰოვენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## D ჯგუფი



ოლიმპიაკოსი — იუვენტუსი. პაველ ნედვედის დუბლი რომ არა, ტურინელები უქულოდ დარჩებოდნენ

# მოულოდნელი კასტილიო და მოსალოდნელი იუვენტუსი

**ოლიმპიაკოსი 1:2 იუვენტუსი**

**1:0 სტოლტიდისი (11), 1:1, 1:2 ნედვედი (21, 79)**
**ოლიმპიაკოსი: კატერინაკისი, ვენეტიდისი, კოსტულასი, მავროგენიდისი (გონიასი 66), პანტოსი, ანცასი, კარამბუ, სტოლტიდისი, პ. ჯორჯევიჩი, კასტილიო (ტაცისი 75), ჯოვანი (გეორგიადისი 66)**
**მწვრთნელი: ოლეგ პროტასოვი**
**იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ლეგროტალიე, მონტერო, ძამბროტა, ტაკინარდი, აპია, დავიდსი, ნედვედი (ბირინდელი 89), ტრეზეგე, დი ვაიო (მიკოლი 55)**
**მწვრთნელი: მარჩელო ლიპი**
**გაფრთხილება: დავიდსი, კასტილიო, გონიასი, მიკოლი**
**მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)**
**14 000 მაყურებელი**

„იუვენტუსი“ ძალიან მამაკაცური და გამოცდილი გუნდია, მან იცის, რომ ძლიერია და იცის როგორ უნდა იყოს ძლიერი — ამაში ვერავინ შეედავება.

„ჩვენ ანგარიშის შეცვლის გამოცდილება გვაქვს. მეტოქემ პირველი გოლი რომ გაიტანა, ვიცოდით, მთელი თამაში ჯერ კიდევ წინ იყო“ — თქვა მატჩის შემდეგ „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ.

გაიხსენეთ, როგორ მოუგეს ტურინელებმა პირველ ტურში „გალათასარაის“. არც იმ მატჩში მომხდარა რაიმე განსაკუთრებული, იქაც „იუვე“ უფრო მცოდნე და თუ ეს სიტყვა არ გეუცხოებათ, სერიოზული გამოდგა, იცოდა, როგორ გაემარჯვა. დღეს იტალიის ჩემპიონი ექვსქულიანია და ჯგუფს ლიდერობს.

„წინასწარმეტყველებას აზრი არ აქვს. ბევრ გუნდს ნული ქულა ჰქონია ორი თამაშის შემდეგ, ბოლოს კი ჯგუფიდან გასულა“ — მოკრძალებით დასძინა ლიპიმ.

ტურინელთაგან ორივე გოლი პაველ ნედვედმა გაიტანა. პირველი პირველ ტაიმში, ხოლო მეორე მეორეში. პირველი საჯარიმოდან შევარდა, მეორე კი ჩეხის შორეული და ყოვლად დიდებული დარტყმის შემდეგ, ოღონდ საყოველთაო აზრით, ეს ლამაზი გოლი არ უნდა გასულიყო, რადგან ბურთი მეკარე ფანის კატერიანაკისს ხელებში არ უნდა გაძვრომოდა.

მარჩელო ლიპიმ ბერძენ გოლკიპერს დარდი შეუმსუბუქა: „ბურთი ნედვედმა ისეთი ტრაექტორიით დაარტყა, რომ მან მეკარის წინ ჩაიზიგზაგა. მეკარის ბრალი არაფერი ყოფილა“.

ლიპის კოლეგამ, ათენელთა მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა კი პრესკონფერენციაზე ასე ბრძანა: „ვიცი, ბევრი იფიქრებს, რომ მატარებელი უჩვენოდ წავიდა, მაგრამ ჩვენ გული არ უნდა გავიტეხოთ და თამაში ისე განვაგრძოთ, როგორც გუნდმა, რომელიც შემდგომ ეტაპზე გასასვლელად იბრძვის. შემდეგი თამაში სტამბოლში გვაქვს, „გალათასარაისთან“ და ვალდებულნი ვართ, კარგ შედეგს მივაღწიოთ. ევროპულ ფეხბურთში ყველაფერს დეტალები წყვეტს და დღეს ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. ორი მცირე დეტალის გამო „ოლიმპიაკოსი“ დამარცხდა“.

ამ შეხვედრის ერთადერთი მოულოდნელობა 18 წლის ურუგვაელი ნერი ალბერტო კასტილიო გახლდათ, რომელიც პროტასოვმა ბერძენი გიორგიოს გეორგიადისის ნაცვლად ათამაშა და მანაც თავი არ შეირცხვინა.

„კასტილიო სურპრიზი იყო, მის შესახებ არაფერი გვსმენოდა“ — აღიარა ლიპიმ.

**გალათასარაი 1:2 სოსიედადი**

**0:1 კოვაჩევიჩი (3), 1:1 შუქური (61), 1:2 ხაბი ალონსო (73)**
**გალათასარაი: მონდრაგონი, პრატესი (ბატისტა 40), ტამაში, ბიულენთი, ფ. დე ბური (არიფი 46), აიჰანი, ჯიჰანი, საბრი, ერგუნი, შაში, შუქური**
**მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი**
**სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, ხაურეგი, არანსაბალი, კარპინი, ხაბი ალონსო, არანბურუ, გაბილონდო (ბ. ლი 68), პოტილიონი, კოვაჩევიჩი (დე პაულა 78), ნიჰათი (ალკისა 65)**
**მწვრთნელი: რეინალდ დენიო**
**გაფრთხილება: ჯიჰანი, ტამაში, აიჰანი, ალკისა**
**გაძევება: შაში (82)**
**მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)**
**40 000 მაყურებელი**

ხაბი ალონსომ მეორე ტაიმში გაიტანა გამარჯვების გოლი — სტამბოლში „გალათასარაიმ“ „რეალ სოსიედადთან“ წააგო. ისე, ანგარიში გახსნითაც ბასკურმა გუნდმა გახსნა, დარკო კოვაჩევიჩმა მესამე წუთზე დაუმწუხრა მასპინძელთა ცნობილი მწვრთნელის, ფათიჰ თერიმს გული. მაგრამ როდესაც ჰაქან შუქურმა გაქვითა...

„ორი შეხვედრა მოვიგეთ და მნიშვნელოვანი ქულები ჩავიწერეთ. ამიერიდან ჩვენი იმედი უფრო ძნელ მატჩებში გამარჯვება იქნება, სირთულეები ხომ ახლა იწყება“ — განაცხადა „რეალ სოსიედადის“ ფრანგმა მწვრთნელმა რეინალდ დენიომ.

ამ შეხვედრაში ტერიტორიალურ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, შუა მოედანი მათი იყო, მაგრამ წინ, სტუმართა კარის სიახლოვეს ჰაქან შუქურმა და ერგუნ ფენბემ დაუშვეს შეცდომები — მომენტები ჰქონდათ და ვერ გამოიყენეს.

„გალათასარაის“ უიღბლობის კულმინაცია 83-ე წუთზე მოხდა, როდესაც თურქეთის ნაკრების ნახევარმცველი ჰასან შაში აიტორ ალკისას უკნიდან ეუხეშა და მოედნიდან გააძევეს.

სულ ბოლო წუთზე საბრი სარიოღლუს შეეძლო კიდევ ერთხელ გათანაბრება, მაგრამ მისი შორეული დარტყმული სულ ცოტათი ასცდა მიზანს.

„გალათასარაი“ ძალიან საშიში გუნდია — განაცხადა ბასკთა გუნდის თურქმა ფეხბურთელმა ნიჰათ ქაჰვეჩიმ — მართალია ორი შეხვედრიდან ორი გამარჯვებით ძალიან დიდი უპირატესობა მოვიპოვეთ, მაგრამ წინ კიდევ ოთხი შეხვედრაა და თითოეული მათგანი უძნელესი იქნება.

მას მერე, რაც ჰაქან შუქურმა ანგარიში გაათანაბრა, მასპინძლებმა გაორმაგებული ძალით შეუტიეს, რითაც, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ზურგი მოიშიშვლეს და ნიჰათსა და კოვაჩევიჩს მომენტები უძღვნეს.

„ორი შეხვედრის მერე ნული ქულა გვაქვს. ორი ძალიან მარტივი გოლი გავუშვით, მაგრამ ვიცი, რომ ფეხბურთელების დადანაშაულება არაფრით შეიძლება“ — ბრძანა ფათიჰ თერიმმა.

„მეტოქემ ძალიან მჭიდროდ ითამაშა და ჩაგვკეტა — დასძინა ჰაქან შუქურმა — ჩვენ ვიბრძოლებთ დარჩენილ შეხვედრებში ქულათა მაქსიმუმი რომ მოვიპოვოთ. ვფიქრობ მაინც შევძლებთ ჯგუფიდან გასვლას“.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| სოსიედადი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| გალათასარაი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

# ჯოჯოხეთი ნომერი

## სკოტლანდ იარდი საქმეს აუცილებლად გამოიძიებს







*ლონდონში 17 წლის გოგო გააუპატიურეს, ეს, სავარაუდოდ, შვიდმა ფეხბურთელმა ჩაიდინა! ამბავს, რომლის შესახებაც გუშინ გამცნეთ, ახალი დეტალები შეემატა, თუმცა ფარდის ახსნა ჯერ ძალიან ადრე უნდა იყოს. და მაინც, ახლა უკვე ვიცით, რომ სასტუმროს, რომელშიც საზარელი ისტორია დატრიალდა „გროსვენორ ჰაუს ოტელი“ ჰქვია, ხოლო ოთახის ნომერია 316.*



**დაზარალებულს** — კათოლიკეთა სკოლის მოსწავლეს, რომელიც შესახედავად უფროსს ჰგავს, მუქი თმა მხრებამდე აქვს ჩამოზრდილი, გამხდარია და სადღაც სამოყვარულო დონეზე მოდელობს — ამჟამად შინაა, შოკიდან არ გამოსულა და ამბის თხრობისას ისტერიულად ირწევა. მან ოჯახს დალილავებული სხეული აჩვენა, ჰყავს უფროსი და, რომელსაც შინ მისვლის შემდეგ უამბო ყველაფერი, დედასთან ხმა ვერ ამოიღო, და რომლის წაქეზებითაც მომხდარის შესახებ პოლიციაში განაცხადა. დაზარალებულს ჰყავს მამაც, რომელიც დამნაშავეთა მოკვლით იმუქრებოდა და, ვინაიდან, იმ გუნდის ფანია, რომლის ფეხბურთელებმაც ეს საშინელება ჩაიდინეს, ყველას სახეზე ცნობს.

სურათი ასეთი იკვეთება: დაზარალებული და მისი მეგობრები ბარში წავიდნენ, სადაც ფეხბურთელები გაიცნეს. ბარს ჰქვია „სანდერსონ ოტელის“ „ფარფლ ბარი“. თავად გოგონას მონათხრობის თანახმად (ინფორმაციამ ნათესაობიდან გაჟონა), იგი ერთმა ახალგაცნობილმა ფეხბურთელმა საუბრით მოხიბლა და „გროსვენორ ოტელში“ წაყოლაზე დაითანხმა. გოგონას დაულევია მხოლოდ კოკა კოლა, ასე რომ, სიმთვრალით ჩადენილ სისულელეებზე საუბარი ზედმეტია.

„გროსვენორ ოტელში“ გოგონა და ფეხბურთელი ლოგინში ჩაწვნენ და სწორედ ამ დროს შეუვარდათ შვიდკაციანი ჯგუფი. დაზარალებულის მონაყოლის თანახმად, ისინი ცხოველებივით იქცეოდნენ და აგინებდნენ. ყველაფერი რომ დასრულდა, გოგონა ხმის ამოუღებლად გაიძურწა ნომრიდან, ფეხბურთელები კი სიცილით აცილებდნენ. შემდეგ მან ტაქსი დაიჭირა და შინისკენ გაეშურა.

ბუნებრივია, პოლიციისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მეგობრის მონათხრობი, მით უფრო, რომ იგიც დიდი ფანი ყოფილა და ყველა ფეხბურთელს სახით ცნობს.

დაზარალებული ყოველმხრივ შეამოწმეს, ჩაუტარეს სამედიცინო ექსპერტიზა, გასინჯეს შიდსზეც. თითქოს დგინდება, რომ ამ ისტორიის მონაწილე რვა კაციდან ექვსი ერთი გუნდიდანაა, ორი მეორედან.

როგორც ინგლისური პრესა იუწყება, პოლიცია საქმეს უდიდესი სერიოზულობით იძიებს. იკვეთება, რომ ფეხბურთელი, რომლის სახელზეც სასტუმროში ნომერი იყო დაქირავებული, იმ რვას შორის არ გახლდათ. ამას თურმე მოწმეებიც ადასტურებენ.

უდიდესი სკურპულოზობით აიღეს 316 ნომრის ყოველი კუთხე კუნჭულის სინჯებიც. სპეციალისტები ყოველმხრივ ამოწმებენ ემთხვევა თუ არა ფაქტები გოგონას მონაყოლს.

და ბოლო ცნობების მიხედვით, ბარში სადაც გოგონამ ფეხბურთელები გაიცნო, შემთხვევით იყო, არც მეტი, არც ნაკლები, პირველი დივიზიონის კლუბ „კრისტალ პალასის“ პრეზიდენტი საიმონ ჯორდანი, რომელიც, ბუნებრივია, ვის ვის და ფეხბურთელებს სახეზე მაინც სცნობს. თავად მისტერ ჯორდანმა კომენტარისგან თავი შეიკავა. მან არ დაადასტურა არც ის, რომ ბარში იყო და არც ის, რომ ბარში არ იყო, მხოლოდ იმეორებდა: NO COMMENT.

**პაპუნა ძიძია**

# რიდის ბედი ბლექბერნს ანდეს



ფინანსური კრიზისი, რომელიც „ლიდსში“ ორი წლის წინ აგორდა, კლუბს დღესაც ვნებს და შედეგად პიტერ რიდის გუნდი ცხრილის ქვედა სამეულში დამკვიდრდა.

„ლიდსს“ პრემიერლიგაში სეზონში ასე ცუდად არასოდეს დაუწყია. ქოლო სამ ტურში ათი გოლი გაუშვა და ერთიც ვერ გაიტანა.

ასეთ დროს მწვრთნელისკენ მიუთითებენ. პიტერ რიდმა გუნდი გასულ გაზაფხულზე ტერი ვენეიბლზისგან ჩაიბარა. ვენეიბლზს შეჰპირდნენ, რომ კარგ მოთამაშეებს შეუნარჩუნებდნენ, მაგრამ გზადაგზა ფეხბურთელები შემოაცალეს. უკმაყოფილო და შეურაცხყოფილმა სპეციალისტმა სამსახური მიატოვა და საქმე რიდს გადაულოცა.

ახალმა კაცმა „ლიდსს“ პრემიერლიგაში ადგილი შეუნარჩუნა, რითაც კლუბის პატრონის მადლობა და ერთწლიანი კონტრაქტი დაიმსახურა.

ლიდსელებს ამ სეზონის წინ ჰარი კიუელიც გამოაცალეს და ასეთ ვითარებაში მწვრთნელს ძალიან გაუჭირდა. ფაქტობრივად, მთელი ტვირთი ალან სმიტს და მარკ ვიდუკას დააწვა, მაგრამ, როგორც ამბობენ, მათაც გული აიყარეს.

კლუბის პრეზიდენტმა ჯონ მაკკენზიმ ვიცე-კოლეგას, ალან ლეიტონს, მწვრთნელის მომავლის გარკვევა შესთავაზა და დირექტორატის წევრები საკითხის განსახილველად გუშინ შეიკრიბნენ.

შეიძლება პიტერ რიდს კიდევ ერთი შანსი მისცენ. ზეგ „ლიდსმა“ „ბლექბერნს“ თუ მოუგო, გუნდის თავკაცს ალბათ სამსახურში დატოვებენ.

რიდის გათავისუფლების იდეა კლუბის პატრონს მას შემდეგ ეწვია, რაც ლიდსელები „ევერტონთან“ სამარცხვინოდ (0:4) დამარცხდნენ. აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: მწვრთნელის გაშვება პრეზიდენტს 500 ათასი გირვანქა დაუჯდება, რადგან კონტრაქტის გაწყვეტა სწორედ ამდენს მოითხოვს.

ინგლისელი ბუქმეიკერები ფსონებს რიდის გადადგომაზე უკვე აღარც იღებენ. მისი გაშვება დროის ამბავი და ფაქტობრივად გადაწყვეტილი საქმეაო. ბრიტანულმა პრესამ სავარაუდო შემცვლელიც დაასახელა — „ნოტინგემ ფორესტის“ ამჟამინდელი თავკაცი პოლ ჰარტი. ჰარტი ახალგაზრდა სპეციალისტია. შარშან გუნდი პირველი დივიზიონის პლეი ოფში გაიყვანა, თუმც პრემიერლიგას ვერ შესწვდა. „ნოტინგემის“ მწვრთნელს თავის დროზე „ლიდსში“ უთამაშია და იქაურებს კარგად იცნობს.

პიტერ რიდს ფეხბურთელების მხარდაჭერა არ აკლია, მაგრამ საბოლოოდ გადამწყვეტი სიტყვა პრეზიდენტს ეკუთვნის.

**გაგა ხუციშვილი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



ალან კერბიშლი



დევიდ პლიტი

# მოპლიტული ატმოსფერო

„ტოტენჰემ ჰოთსპური“ გაშვებული მწვრთნელის, გლენ ჰოდლის შემცვლელს ეძებს და ჯერჯერობით პრობლემები აქვს. ჩრდილოლონდონელები „სელტიკისგან“ მარტინ ონილის შეძენაზე ფიქრობდნენ, მაგრამ შემდეგ დაფიქრდნენ, რომ ახალ მოთამაშეთა საყიდლად მათ ჰოდლს უკვე მისცეს 12 მილიონი გირვანქა, რის გამოც ონილისთვის გროშებიღა რჩებოდა, ხოლო მისებრ „მხარჯველი“ მწვრთნელი ამ პირობებზე ვერაფრით წამოვიდოდა.

დღეს, „სფურზის“ თავმჯდომარე დენიელ ლევი გრემ სუნესზე ფიქრობს და ამ შაბთ-კვირას „ბლექბერნის“ ოფისში წერილის მიწერასაც ფიქრობს, თუმცა თავად სუნესისთვის რამდენად ჭკვიანური ნაბიჯი იქნება ლონდონში გადაბარგება, კაცმა არ იცის, მათ რიცხვში არც თავად სუნესმა.

არ არის გამორიცხული კლუბში სულაც „ჩარლტონ ატლეტიკის“ მწვრთნელი ალან კერბიშლიც მივიდეს — მას უპირველეს ყოვლისა, ბევრი გოლის გამშვები დაცვის გამოსწორება მოუწევს.

თავმჯდომარე ლევი დიდად ენდობა დევიდ პლიტსაც, რომელიც ჯერჯერობით მართავს პოსტჰოდლურ საქმეებს და უნდა ითქვას, რომ ატმოსფერო ბოლო 10 დღეში მნიშვნელოვნად გამოსწორდა. გუნდი, რომელმაც ბოლო სამ, ჰოდლიან თამაშში ათი გოლი გაუშვა, გასულ კვირას „მანჩესტერ სიტისთან“ 0:0-ით დაზავდა.

**პაპუნა ძიძია**



# კოლიმორი ინგლისს კოლიმორს სთავაზობს

**თავს ოდნავ** ძალა დაატანეთ და გაიხსენეთ ორი სიტყვა: სტენ კოლიმორი. ეს იმ ინგლისელი ვაჟკაცის სახელ-გვარია, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში უბურთავია და რობი ფაულერთან ერთად მოოქროვილ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

ჭირვეული და აცაბაცად მოარული მეგოლე ეგებ კიდეც გაგახსენდათ, მაგრამ, მგონი, მისი ინგლისელი ფანებიც ვერ ჩამოთვლიან ყველა იმ გუნდს, რომელშიც უთამაშია. ინებეთ: „სტაფორდ რეინჯერსი", „კრისტალ პალასი", „საუთენდი", „ნოტინგემ ფორესტი", „ლივერპული", „ასტონ ვილა", „ფულემი", „ლესტერი", „ბრედფორდი" და მისთვის ყველაზე ავადსახსენებელი „ოვიედო".

როგორ მოხვდა ბრიტანეთიდან ესპანეთში, თან უსახელო „ოვიედოში" ეს არაჩვეულებრივი ფორვარდი? არაჩვეულებრივი აი, რატომაა: 223 მატჩში 113 გოლი გაუტანია და თითქმის ორი წელია, ფეხბურთს შეეშვა.

ჭირვეული კოლიმორი ერთ გუნდში ვერაფრით გააჩერეს. მონლოლივით მოხეტიალეს, ხან მწვრთნელი არ მოსწონდა, ხან პირიქით — იგი არ მოსწონდა მწვრთნელს. არადა, ყველგან, სადაც თამაშობდა, ქომაგებს უყვარდათ.

ინგლისიდან „ოვიედოში" მისი მოულოდნელი გადასვლა ასევე მოულოდნელად და უცნაურად დასრულდა. უეცრად, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი მოსწყინდა და თამაშს თავი დაანება. ესპანელებს მის სანაცვლოდ ფული ჰქონდათ გადახდილი, ჯამაგირიც დაუნიშნეს და ასე თვითნებურად გუნდის მიტოვებას ვინ აპატიებდა. ეს ამბავი საბოლოოდ მშვიდობიანად დასრულდა, თუმც კოლიმორი ფეხბურთს გამოემშვიდობა.

ახირებულ კაცს, რომელიც ახლა 32 წლისაა, როგორც ჩანს, უსაქმობა მობეზრდა და მოედანი, ბურთაობა მოენატრა. ამიტომაც განუცხადა BBC-ის ჟურნალისტს: „ფეხბურთის თამაში მომწყურდა. რამდენიმე კლუბი უკვე შემეხმიანა კიდეც და ეს ფაქტი მადას უფრო მიმატებს."

სტენ კოლიმორმა ფულზე ხელი ჩაიქნია და დასძინა: „ჩემს მომავალ კლუბთან ჯამაგირზე გართულება არ მექნება. მთავარია თამაში, რომელიც ძალიან მსურს. გულწრფელად გეტყვით, ბურთისგან შორს ყოფნას ერთი დადებითი მხარე მაინც აქვს. არავინ გაკრიტიკებს, არავინ გაწუხებს, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა-ვერმოხვედრის პრობლემა არ გაქვს, მაგრამ ყველას, ვინც ჩემსავით ფეხბურთს ჩამოშორდა, ვთხოვ, თუ შანსი აქვთ, მოედანს დაუბრუნდნენ. პირადად მე რვა წლიდან ფეხბურთს ვეთაყვანები და ვნანობ, რომ ასეთი შეცდომა დავუშვი. დარწმუნებული ვარ, ქომაგებს გოლებით კიდევ არაერთხელ გავახარებ. ჩემი შესაძლებლობები რომ მეეჭვებოდეს, დაბრუნებაზე არც კი ვიფიქრებდი. მოსამზადებლად რამდენიმე თვე მჭირდება, ყოველგვარი ტრავმა ბოლომდე მოშუშებული მაქვს და ჯანზე ვარ."

**ვაჟა ხუციშვილი**

# ის სიყვარულმა დატოვა მილანში
## რივალდომ ტიფოზებს და მალდინის ვერ უღალატა

**გეხსომებათ** ის სკანდალი, რის შედეგადაც ლუის ვან გაალზე განაწყენებულმა ბრაზილიელმა რივალდომ კატალონიურ „ბარსელონასთან" კონტრაქტი გაწყვიტა და თავისუფალი აგენტი გახდა. მისი შეკედლების მსურველები მრავლად იყვნენ, მაგრამ ყველას „მილანმა" აჯობა, ფეხბურთელი თავისთან წაიყვანა, რითაც მაშინ ორივე მხარე ძალიან კმაყოფილი იყო და ვერავინ იფიქრებდა, რომ რივალდო სულ ცოტა ხანში მყარად მოიკიდებდა ფეხს მილანური კლუბის სათადარიგოთა სკამზე.

ევროსარბიელზე „მილანმა" უდიდეს წარმატებას მიაღწია. მეექვსედ მოიგო ჩემპიონთა ლიგა (თასი) და ევროპის სუპერთასსაც დაეუფლა, მაგრამ ამ ყველაფერში ბრაზილიელის წვლილი ძალიან მცირე იყო, მას ხომ თამაშის საშუალება არ ეძლეოდა. მართალია, კარლო ანჩელოტის ლუის ვან გაალის დარად არ უთქვამს, რივალდო არ მჭირდება და გააჩუქეთო, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ათამაშებდა. ბოლოს და ბოლოს, რივალდოს კიდევ ერთხელ აევსო მოთმინების ფიალა და კატალონიური ამბავი განმეორდა, სამხრეთამერიკელმა განაცხადა, „მილანიდან" მივდივარო. თუმც, როგორც იცით, სულ ცოტა ხანში იტალიურმა კლუბმა მოახერხა ფეხბურთელთან საერთო ენის გამონახვა და ბრაზილიელმაც გარკვეული დროით გუნდში დარჩენა გადაწყვიტა.

ახლა კი რივალდომ გადაწყვეტილების შეცვლის მიზეზი დაასახელა, თანაგუნდელებს და გულშემატკივრებს ვუყვარვარ და პატივს მცემენ. აქაურობა მეც ძალიან მომწონს და უკიდურეს შემთხვევაში 2004 წლის 2 იანვრამდე დარჩენა გადავწყვიტე. თუმცა ბრაზილიელმა ისიც აღნიშნა, ძირითად შემადგენლობაში ადგილი კვლავ არ მაქვს გარანტირებული და შესაძლოა, ამის გამო მალე მაინც მომიხდეს გუნდიდან წასვლაო.



რივალდომ სხვაგან წასვლას კახა კალაძესთან დარჩენა არჩია

რივალდო: „მიზეზი, რის გამოც წასვლა გადავიფიქრე, ფანების, თანაგუნდელებისა და მთლიანად კლუბის რეაქცია იყო. მათ ჩემდამი დიდი პატივისცემა და სიყვარული გამოამჟღავნეს. ძალიან გამახარა და ამაღელვა ოვაციამ, რომელიც კვირას „სან სიროზე" მომიწყვეს. ასევე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო გუნდის კაპიტან პაოლო მალდინის, რომელიც ძალიან ხშირად მირეკავდა და მამხნევებდა".

**გიორგი ძაძამიძე**

# შეაყურებლოდ და 0:3
## ნეაპოლელებს
## აველინო არ აპატიებს

**ორიოდ კვირის** წინ „აველინოსა" და „ნაპოლის" მატჩის მსვლელობისას (რომელიც ფრედ დასრულდა) სამწუხარო ამბავი მოხდა. სტუმართა ქომაგები დამცავ ბარიერებს მიაწყდნენ და აურზაური ატეხეს, რამაც 19 წლის სერჯიო ერკოლანო იმსხვერპლა.

ამ უსიამოვნო ინციდენტის გამო „ნაპოლის" 0:3 წაგება ჩაეთვლება, მაგრამ ეგებ სასჯელი უფრო გამკაცრდეს. ნეაპოლელი ფანებისთვის სტადიონზე არეულობის მოწყობა ჩვეულებრივი ამბავია, რითაც ძალიან ხშირად ზარალდება მათი საყვარელი კლუბი, მაგრამ ისინი ჭკუას მაინც ვერ სწავლობენ. „სან პაოლოს" ბინადარნი აქამდეც დაისაჯნენ — მათ ხუთი საშინაო მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გამართვა მოუწევთ.

„ნაპოლის" მესვეურები ამ განაჩენის („აველინოსთან" წაგების ჩათვლის) გასაჩივრებას აპირებენ. ამის შესახებ კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე იუწყებიან.

აქვე აღვნიშნოთ, რომ აქამდე „ნაპოლიმ" ხუთ მატჩში 4 ფრე, ითამაშა და ერთხელ დამარცხდა, ხოლო „აველინოს" 4 შეხვედრაში 2 ქულა ჰქონდა (2 ფრე, 2 წაგება). ახლა კი სერია B-ში წლეულს აღზევებული გუნდი მეტოქის ქომაგების დახმარებისა და სამწუხარო ინციდენტის წყალობით უბრძოლველად მიითვლის პირველ სამ ქულას და ცხრილში ნეაპოლელებზე მაღლა აღმოჩნდება.

**გიორგი ძაძამიძე**




სარბიელი
სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

### ინგლისი. პრემიერლიგა. VIII ტური

4 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 001 | ლივერპული-არსენალი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 19.00 | 002 | ფულემი-ლესტერი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 003 | ლიდსი-ბლექბერნი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 004 | მანჩესტერი-ბირმინგემი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 005 | მანჩესტერი-ბირმინგემი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 19.00 | 006 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 007 | პორტსმუთი-ჩარლტონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 008 | ტოტენჰემი-ევერტონი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 009 | ვულვერჰემპტონი-სიტი | 3,4 | 3,3 | 2,0 | 1,67 | 1,25 | 1.24 |

5 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | მიდლსბრო-ჩელსი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 20.05 | 011 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. VIII ტური

4 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 108 | რეინჯერსი-სელტიკი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 109 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 110 | ჰართსი-დანდი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 111 | კილმარნოკი-აბერდინი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 112 | ლივინგსტონი-დანფერმლაინი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 19.00 | 113 | პარტიკი-ჰიბერნიანი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |

### შოტლანდია. I დივიზიონი. VIII ტური

4 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 116 | ბრეჩინი-ქუინი | 3,0 | 3,5 | 2,05 | 1,61 | 1,21 | 1,29 |
| 19.00 | 117 | კლაიდი-როსი | 2,2 | 3,4 | 2,8 | 1,33 | 1,23 | 1,53 |
| 19.00 | 118 | ინვერნესი-რეითი | 1,7 | 3,6 | 4,0 | 1,15 | 1,19 | 1,89 |
| 19.00 | 119 | სტ.ჯონსტონი-ეარი | 1,55 | 3,6 | 5,3 | 1,08 | 1,19 | 2,14 |
| 19.00 | 120 | სტ.მირენი-ფოლკირკი | 2,7 | 3,5 | 2,2 | 1,52 | 1,21 | 1,35 |

### შოტლანდია. II დივიზიონი. VIII ტური

4 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 123 | ისტ ფაიფი-დამბარტონი | 1,65 | 3,6 | 4,2 | 1,13 | 1,18 | 1,93 |
| 19.00 | 124 | ფორფარი-ერდრი | 2,7 | 3,5 | 2,15 | 1,52 | 1,19 | 1,33 |
| 19.00 | 125 | ჰამილტონი-ალოა | 1,85 | 3,5 | 3,3 | 1,21 | 1,18 | 1,69 |
| 19.00 | 126 | მორტონი-ბერიკი | 1,65 | 3,6 | 4,2 | 1,13 | 1,18 | 1,93 |
| 19.00 | 127 | სტენჰაუზმური-არბროთი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |

### შოტლანდია. III დივიზიონი. VIII ტური

4 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 130 | ალბიონი-ისტ სტირლინგი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| | 131 | ალბიონი-ისტ სტირლინგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 19.00 | 132 | კოუდენბითი-სტრანრარი | 2,6 | 3,5 | 2,2 | 1,49 | 1,19 | 1,35 |
| 19.00 | 133 | გრეტნა-მონტროუზი | 1,85 | 3,5 | 3,3 | 1,21 | 1,18 | 1,69 |
| 19.00 | 134 | ქუინზ პარკი-პიტერჰედი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 19.00 | 135 | სტირლინგი-ელგინი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| | 136 | სტირლინგი-ელგინი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |

### გერმანია. ბუნდესლიგა. VIII ტური

4 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 137 | შტუტგარტი-კიოლნი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 138 | შტუტგარტი-კიოლნი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 18.30 | 139 | ჰამბურგი-მიონხენგლადბახი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 18.30 | 140 | ბაიერნი-ჰერტა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 141 | ბაიერნი-ჰერტა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.30 | 142 | აინტრახტი-დორტმუნდი | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 18.30 | 143 | ჰანოვერი-შალკე | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 18.30 | 144 | ფრაიბურგი-მიუნხენი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 145 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

5 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 146 | ლევერკუზენი-ჰანზა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 147 | ლევერკუზენი-ჰანზა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 20.30 | 148 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. VIII ტური

3 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 149 | კარლსრუე-კოტბუსი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 22.00 | 150 | ოსნაბრიუკი-დუისბურგი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 22.00 | 151 | ტრირი-არმინია | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1.49 |

5 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 152 | უნიონი-რეგენსბურგი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 18.00 | 153 | ნიურნბერგი-ლიუბეკი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 18.00 | 154 | ბურგჰაუზენი-მაინცი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 18.00 | 155 | ობერჰაუზენი-ფიურტი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 18.00 | 156 | ალენი-აუე | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |

6 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 157 | ალემანია-უნტერჰახინგი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). X ტური

4 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 161 | ლაიპციგი-ბრაუნშვაიგი | 3,5 | 3,3 | 1,85 | 1,69 | 1,21 | 1,18 |
| 17.00 | 162 | დორტმუნდი(მ)-ვატენშაიდი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 17.00 | 163 | პადერბორნი-დინამო | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 17.00 | 164 | კილი-მიუნსტერი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 17.00 | 165 | ვერდერი(მ)-ნოიმიუნსტერი | 1,2 | 4,6 | 8,0 | 1 | 1,04 | 2,92 |
| 17.00 | 166 | კიოლნი(მ)-ურდინგენი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 17.00 | 167 | შალკე(მ)-ზტ.პაული | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 17.00 | 168 | ესენი-ჰამბურგი(მ) | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| | 169 | ესენი-ჰამბურგი(მ) 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |

5 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 170 | ქემნიცი-ვუპერტალი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). X ტური

2 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 173 | აალენი-ელვერსბერგი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |

3 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 174 | ზიგენი-ოფენბახი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| 22.00 | 175 | კიკერსი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 22.30 | 176 | ერფურტი-ფულენდორფი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |

4 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 177 | ვეენი-შტუტგარტი(მ) | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 17.30 | 178 | შვაინფურტი-ჰოფენჰაიმი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 17.30 | 179 | ზაარბრიუკენი-აუგსბურგი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 17.30 | 180 | მაინცი(მ)-ფოიხტი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |

5 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 181 | ბაიერნი(მ)-ეშბორნი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 182 | ბაიერნი(მ)-ეშბორნი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |

### იტალია. სერია A. V ტური

5 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 183 | ანკონა-უდინეზე | 3,0 | 3,0 | 2,35 | 1,5 | 1,31 | 1,31 |
| 18.00 | 184 | ემპოლი-მოდენა | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 18.00 | 185 | იუვენტუსი-ბოლონია | 1,3 | 4,4 | 10,0 | 1 | 1,15 | 3,05 |
| | 186 | იუვენტუსი-ბოლონია 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 187 | ლაციო-კიევო | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 18.00 | 188 | ლეჩე-ბრეშა | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 18.00 | 189 | პარმა-სამპდორია | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| 18.00 | 190 | სიენა-რომა | 4,2 | 3,1 | 1,85 | 1,78 | 1,28 | 1,15 |
| 21.00 | 191 | პერუჯა-რეჯინა | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.30 | 192 | ინტერი-მილანი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

**ესპანეთი. I დივიზიონი. VI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 234 | დეპორტივო-ატლეტიკო | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 22.30 | 235 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 00.30 | 236 | ბეტისი-ბილბაო | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 237 | ვალიადოლიდი-რასინგი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 20.00 | 238 | მალაგა-სელტა | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 20.00 | 239 | მალიორკა-ოსასუნა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.00 | 240 | მურსია-ალბასეტე | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 20.00 | 241 | სოსიედადი-სევილია | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 22.00 | 242 | რეალი-ესპანიოლი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 243 | რეალი-ესპანიოლი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 00.30 | 244 | ბარსელონა-ვალენსია | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. IX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.15 | 261 | ნანტი-რენი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 23.00 | 262 | აიაჩო-ლიონი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 23.00 | 263 | ოსერი-ლილი | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| 23.00 | 264 | გენგამი-მონაკო | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| 23.00 | 265 | ლე მანი-ბორდო | 3,3 | 3,1 | 2,15 | 1,59 | 1,3 | 1,26 |
| 23.00 | 266 | ლანსი-მეცი | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| 23.00 | 267 | ნიცა-სტრასბური | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 268 | სოშო-პსჟ | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| 23.00 | 269 | ტულუზი-მონპელიე | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 270 | მარსელი-ბასტია | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. XI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 274 | სტ.ეტიენი-რუანი | 1,8 | 2,8 | 4,8 | 1,09 | 1,3 | 1,76 |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 275 | ანჟე-ისტრი | 3,0 | 2,8 | 2,4 | 1,44 | 1,33 | 1,29 |
| 23.00 | 276 | შატორუ-გრენობლი | 1,8 | 2,8 | 4,8 | 1,09 | 1,3 | 1,76 |
| 23.00 | 277 | კრეტეი-კლერმონი | 2,35 | 2,7 | 3,2 | 1,25 | 1,35 | 1,46 |
| 23.00 | 278 | გენიონი-სედანი | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 23.00 | 279 | ლე ავრი-კაენი | 1,8 | 2,9 | 4,6 | 1,11 | 1,29 | 1,77 |
| 23.00 | 280 | ნანსი-ტრუა | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |
| 23.00 | 281 | ნიორი-ლავალი | 1,8 | 2,8 | 4,8 | 1,09 | 1,3 | 1.76 |
| 23.00 | 282 | ვალანსი-ამიენი | 2,7 | 2,7 | 2,7 | 1,35 | 1,35 | 1,35 |
| | | **6 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.15 | 283 | ლორიანი-ბეზანსონი | 1,55 | 3,1 | 7,5 | 1,03 | 1,28 | 2,19 |

**პორტუგალია. სუპერლიგა. VII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 01.00 | 287 | ბოავიშტა-ბელენენსეში | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.15 | 288 | მარიტიმუ-სპორტინგი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| 01.00 | 289 | მორეირენსე-ბენფიკა | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 290 | რიუ ავე-ფერეირა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.00 | 291 | ბეირა მარი-ამადორა | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 20.00 | 292 | ჟილ ვისენტე-ლეირია | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.00 | 293 | ნასიონალი-გიმარაეში | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 00.15 | 294 | პორტუ-აკადემიკა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 295 | პორტუ-აკადემიკა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **6 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 295 | ალვერკა-ბრაგა | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |

**შვეიცარია. სუპერლიგა. XII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 375 | აარაუ-სტ.გალენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.30 | 376 | თუნი-სერვეტი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.30 | 377 | ვილი-გრასჰოპერი | 3,0 | 3,4 | 2,15 | 1,59 | 1,25 | 1,31 |
| 22.30 | 378 | ქსამაქსი-ბაზელი | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |

**ფინეთი.**

**ვეიკაუსლიგა. XXIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 461 | პიკ-ჰაკა | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 20.30 | 462 | ინტერი-იოკერიტი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 20.30 | 463 | იარო-ჰაამეენლინა | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 20.30 | 464 | ჯაზი-მიუპა | 3,6 | 3,4 | 1,85 | 1,74 | 1,22 | 1,19 |
| 20.30 | 465 | კტპ-ტურკუ | 2,15 | 3,4 | 3,0 | 1,31 | 1,25 | 1,59 |
| 20.30 | 466 | ლაჰტი-კუოპიო | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |

**ირლანდია. პრემიერლიგა. XXIV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 479 | დერი-დროგედა | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1.81 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.45 | 480 | კორკი-უოტერფორდი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 23.45 | 481 | უკდ-შელბურნი | 6,0 | 3,5 | 1,5 | 2,21 | 1,2 | 1,04 |

**ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. X ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.15 | 532 | ზლინი-ბრნო | 2,45 | 3,0 | 2,7 | 1,34 | 1,28 | 1,42 |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.25 | 531 | ტეპლიცე-სლავია | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 20.15 | 533 | პრჟიბრამი-ლიბერეცი | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 20.15 | 534 | სიგმა-ბლშანი | 1,3 | 4,6 | 8,0 | 1,61 | 1,9 | 2,92 |
| | 535 | სიგმა-ბლშანი 0:1 | 1,75 | 3,3 | 2,9 | | | |
| 20.15 | 536 | ოპავა-ჟიჟკოვი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 20.15 | 537 | ბუდეიოვიცე-სინოტი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.15 | 538 | იაბლონეცი-ბანიკი | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| | | **6 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.40 | 539 | სპარტა-პლზენი | 1,2 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,57 |
| | 540 | სპარტა-პლზენი 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,5 | | | |

**სლოვაკეთი. I ლიგა. XI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 542 | ინტერი-რუჟომბეროკი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 18.00 | 543 | ტრნავა-პუხოვი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 18.00 | 544 | ბ.ბისტრიცა-დუბნიცა | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,24 | 1,7 |
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 13.30 | 545 | პეტრჟალკა-ჟილინა | 2,15 | 3,0 | 3,2 | 1,25 | 1,28 | 1,54 |
| 20.30 | 546 | ტრენჩინი-სლოვანი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |

**ხორვატია. 1.HNL. X ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.30 | 561 | სლავენი-ჰაიდუკი | 3,2 | 3,2 | 2.05 | 1,6 | 1,24 | 1,24 |
| 19.00 | 562 | ზადარი-ვარტეკსი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 19.00 | 563 | დინამო-ციბალია | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| | 564 | დინამო-ციბალია 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 19.00 | 565 | მარსონია-ინკერი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 21.00 | 566 | რიეკა-კამენი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 19.00 | 567 | ოსიეკი-ზაგრები | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |

**პოლონეთი. I ლიგა. VIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 579 | ლეგია-ამიკა | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.15 | 580 | ვიძევი-ვისლა | 3,6 | 3,3 | 1,95 | 1,72 | 1,26 | 1,22 |
| 21.15 | 581 | კატოვიცე-პოლკოვიცე | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 21.15 | 582 | ოდრა-ლეხი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 21.15 | 583 | ლეჩნა-პოლონია | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 21.15 | 584 | სვიტი-პლოცკი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.15 | 585 | გროცლინი-გურნიკი | 1,4 | 4,0 | 7,0 | 1,03 | 1,16 | 2,54 |
| | 586 | გროცლინი-გურნიკი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |

**იტალია. თასი. III ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 702 | ბრინდიზი-ბოლონია | 4,8 | 3,4 | 1,65 | 1,99 | 1,22 | 1,11 |

**შვედეთი. თასი. 1/4 ფინალი.**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.00 | 704 | იურგორდენი-აიკ | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |

**ნორვეგია. თასი. 1/2 ფინალი.**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 705 | რუსენბორგი-სკეიდი | 1,1 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,19 |

**ირლანდია. თასი. 1/2 ფინალი.**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 706 | ბოჰემიანი-სტ.პატრიკსი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |

**მჩ. ქალები (აშშ).**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 24.00 | 736 | გერმანია-რუსეთი | 1,25 | 5,0 | 7,5 | 1 | 1,07 | 3 |
| 24.00 | 737 | ჩინეთი-კანადა | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |

**ჰოკეი. გერმანია.**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1060 | ნიურნბერგი-მანჰაიმი | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |

კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც მუშაობს

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“

| I ეტაპი, IX ტური | შტამპის | ადგილი | I ეტაპი, IX ტური<br>ჩაბარების ბოლო ვადაა 03.10.03 |
|---|---|---|---|
| სახელი, მამის სახელი, გვარი ---------------<br>---------------<br>**რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 03.10.03** | | | სახელი, მამის სახელი, გვარი ---------------<br>---------------<br>მისამართი---------------<br>---------------<br>---------------<br>საკონტაქტო ტელეფონი --------------- |

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 04.10 | ლივერპული - არსენალი | | 16.30 | 04.10 | ლივერპული - არსენალი | |
| 19.00 | 04.10 | ნიუკასლი - საუთჰემპტონი | | 19.00 | 04.10 | ნიუკასლი - საუთჰემპტონი | |
| 19.00 | 04.10 | ტოტენჰემი - ევერტონი | | 19.00 | 04.10 | ტოტენჰემი - ევერტონი | |
| 16.30 | 04.10 | რეინჯერსი - სელტიკი | | 16.30 | 04.10 | რეინჯერსი - სელტიკი | |
| 18.30 | 04.10 | აინტრახტი - დორტმუნდი | | 18.30 | 04.10 | აინტრახტი - დორტმუნდი | |
| 18.30 | 04.10 | ჰამბურგი - გლადბახი | | 18.30 | 04.10 | ჰამბურგი - გლადბახი | |
| 18.30 | 04.10 | ბოხუმი - კაიზერი | | 18.30 | 04.10 | ბოხუმი - კაიზერი | |
| 23.00 | 04.10 | სოშო - პსჟ | | 23.00 | 04.10 | სოშო - პსჟ | |

## I ეტაპი, X ტური | I ეტაპი, X ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 05.10 | ლაციო - კიევო | | 18.00 | 05.10 | ლაციო - კიევო | |
| 21.00 | 05.10 | პერუჯა - რეჯინა | | 21.00 | 05.10 | პერუჯა - რეჯინა | |
| 21.30 | 05.10 | ინტერი - მილანი | | 21.30 | 05.10 | ინტერი - მილანი | |
| 19.00 | 05.10 | ბარსელონა - ვალენსია | | 19.00 | 05.10 | ბარსელონა - ვალენსია | |
| 19.00 | 05.10 | დეპორტივო - ატლეტიკო | | 19.00 | 05.10 | დეპორტივო - ატლეტიკო | |
| 19.00 | 05.10 | ბეტისი - ბილბაო | | 19.00 | 05.10 | ბეტისი - ბილბაო | |
| 19.00 | 05.10 | მალიორკა - ოსასუნა | | 19.00 | 05.10 | მალიორკა - ოსასუნა | |
| 23.45 | 05.10 | მარსელი - ბასტია | | 23.45 | 05.10 | მარსელი - ბასტია | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 4 ოქტომბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 4 ოქტომბერს)

## მდგომარეობა ექვსი ტურის შემდეგ

ადგ. გვარი, სახელი, მამის სახელი ქულა

1-2 ----- ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე ---------- 188 (28-39-34-31-36-20)
1-2 ----- ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე ---------- 188 (31-28-38-29-36-26)
3 ------ ვეშაპიძე გია შოთას ძე ---------- 186 (28-31-36-29-36-26)
4 ------ მახარაშვილი თეიმურაზ თენგიზის ძე ---------- 180 (23-33-41-28-30-25)
5 ------ ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე ---------- 179 (23-29-36-23-35-33)
6 ------ მუმლაძე აკაკი დომენტის ძე ---------- 178 (23-30-36-26-34-29)
7 ------ ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე ---------- 177 (28-41-23-26-36-23)
8-9 ----- კალანდარიშვილი ზაალ ალექსანდრეს ძე ---------- 175 (26-28-33-34-31-23)
8-9 ----- მორჩიაშვილი პალიკო სევერიანის ძე ---------- 175 (20-39-28-31-36-21)
10 ------ ბახტაძე ირაკლი ნიკოლოზის ძე ---------- 174 (18-36-36-31-33-20)
11 ------ ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე ---------- 172 (23-23-49-26-33-18)
12 ------ გოგონაძე ჯაბა ბადრის ძე ---------- 168 (20-33-36-23-33-23)
13 ------ კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე ---------- 166 (15-39-15-36-36-25)
14 ------ გურგენიძე ზურაბ ანტონის ძე ---------- 165 (23-39-39-26-23-15)
15-16 --- ყლენტი დიმიტრი გიორგის ძე ---------- 164 (25-26-28-31-34-20)
15-16 --- ციცვიძე იური ვლადიმერის ძე ---------- 164 (15-20-42-31-36-20)
17-18 --- ბარბაქაძე გიორგი კონსტანტინეს ძე ---------- 162 (23-39-15-21-39-25)
17-18 --- მელინკაური ლევან ვალერიანის ძე ---------- 162 (23-26-30-28-30-25)
19-20 --- გორელაშვილი დავით გურამის ძე ---------- 161 (31-36-23-15-33-23)
19-20 --- ჭანტურია სოსო კობს ძე ---------- 161 (23-33-36-23-23-23)
21-22 --- ბეგიაშვილი ანა მიხეილის ასული ---------- 160 (28-18-18-34-37-25)
21-22 --- გრიგორაშვილი თამაზ დავითის ძე ---------- 160 (30-15-15-31-33-36)
23-25 --- კალანდაძე ავთო ბადრის ძე ---------- 159 (23-29-23-21-33-30)
23-25 --- ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე ---------- 159 (18-20-28-31-28-34)
23-25 --- ნიკლაური მაია ინგურის ასული ---------- 159 (23-23-20-37-33-23)

**შედეგების გაპროტესტება შეიძლება 8 ოქტომბრამდე 11-დან 15 საათამდე კვირა-ორშაბათის გარდა გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში, აგლაძის 39ა, მე-3 სართული**

## საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

1. ტოტალიზატორ „ტაიმში“, კოსტავას ქ. №37 და მის ფილიალში, მეტრო „ახმეტელის თეატრი“, მინისქვეშა გადასასვლელი მუხიანის მხარეს.
2. მეტრო „ვაგზლის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე“ „ფორტე 4“
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური №18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი“ „ფორტე 2“
6. მეტრო „სამგორი“ „ფორტე 9“
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ მაღაზია „თბილისი“
8. მეტრო „ახმეტელი“ „ფორტე 7“
9. მეტრო „ლრმაღელე“ „პლანეტის“ ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან“ „პლანეტის“ ჯიხური №17
11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური №16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური №15
13. „მაცნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს“ ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 თაახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გადახაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)

ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში

## I ეტაპის V ტურის წინასწარი შედეგები

ადგ. ----- გვარი, სახელი, მამის სახელი ----- ქ.

1-2 ------- სოლოღაშვილი თეიმურაზ შოთას ძე ----- 44
1-2 ------ ძნელაძე ნუგზარ სიმონის ძე ----- 44
3 ------- თორდია ვალერიან ვალერიანის ძე ----- 41
4-10 ----- ბარბაქაძე გიორგი კონსტანტინეს ძე ----- 39
4-10 ----- გაბელაია კახა ჟუკას ძე ----- 39
4-10 ----- გელაშვილი გელა ბიჭიკოს ძე ----- 39
4-10 ----- თევდორაძე ვარლამ გივის ძე ----- 39
4-10 ----- მსხვილიძე გიორგი გივის ძე ----- 39
4-10 ----- სამხარაძე ვეფხვია შოთას ძე ----- 39
4-10 ----- ფაცია გიორგი მურმანის ძე ----- 39
11-13 ---- მისაბიშვილი გიორგი გიორგის ძე ----- 38
11-13 ---- ციკოლია მამუკა ვალერიანის ძე ----- 38
11-13 ---- ჭეიშვილი მელიტონ მანასის ძე ----- 38
14 ------- ბეგიაშვილი ანა მიხეილის ასული ----- 37
15-33 ---- ავლოხაშვილი ავთანდილ ანტონის ძე ----- 36
15-33 ---- ასპანიძე გიორგი შოთას ძე ----- 36
15-33 ---- ბასილაია მიშიკო თემურის ძე ----- 36
15-33 ---- ბუხნიკაშვილი ხვიჩა რევაზის ძე ----- 36
15-33 ---- გოგლიძე ჯემალ კონსტანტინეს ძე ----- 36
15-33 ---- ვეშაპიძე გია შოთას ძე ----- 36
15-33 ---- კაკაბაძე გიორგი გიორგის ძე ----- 36
15-33 ---- კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე ----- 36
15-33 ---- მამუკაშვილი პავლე ედუარდის ძე ----- 36
15-33 ---- მარდალეიშვილი გიორგი თეიმურაზის ძე ----- 36
15-33 ---- მორჩიაშვილი პალიკო სევერიანის ძე ----- 36
15-33 ---- სანიკიძე დავით შოთას ძე ----- 36
15-33 ---- ფირცხალავა ლევან ტარიელის ძე ----- 36
15-33 ---- ქურდაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე ----- 36
15-33 ---- ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე ----- 36
15-33 ---- ციცვიძე იური ვლადიმერის ძე ----- 36
15-33 ---- ძნელაძე თეიმურაზ კამოს ძე ----- 36
15-33 ---- წულაია თამთა აკაკის ასული ----- 36
15-33 ---- ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე ----- 36

## I ეტაპის VI ტურის წინასწარი შედეგები

ადგ. ----- გვარი, სახელი, მამის სახელი ----- ქ.

1 ------- გრიგორაშვილი თამაზ დავითი ძე ----- 36
2 ------- ნუცუბიძე ალექსანდრე სერგოს ძე ----- 34
3 ------- ფარცვანია ფრიდონ ლუდას ძე ----- 33
4 ------- ცომაია რევაზ პეტრეს ძე ----- 31
5 ------- კალანდაძე ავთო ბადრის ძე ----- 30
6 ------- მუმლაძე აკაკი დომენტის ძე ----- 29
7-16 ----- ამირეჯიბი გოჩა შოთას ძე ----- 28
7-16 ----- ბაციკაძე ნუგზარ ვლადიმერის ძე ----- 28
7-16 ----- გაგნიძე ბესიკ სიმონის ძე ----- 28
7-16 ----- ვერმიშევი სიმონ გრიგოლის ძე ----- 28
7-16 ----- ფირცხალაიშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე ----- 28
7-16 ----- ფხაკაძე ზურაბ გურგენის ძე ----- 28
7-16 ----- ქველაძე ეკატერინე ოთარის ასული ----- 28
7-16 ----- ღვინიაშვილი ნათია იოსების ასული ----- 28
7-16 ----- ჭეიშვილი მელიტონ მანასის ძე ----- 28
7-16 ----- ჭუმბურიძე კახა ზაურის ძე ----- 28
17-21 ---- ბლუაშვილი ზურაბ ნოდარის ძე ----- 26
17-21 ---- ვეშაპიძე გია შოთას ძე ----- 26
17-21 ---- ფეიქრიშვილი მერაბი ჯემალის ძე ----- 26
17-21 ---- ღვაჩლიანი ირაკლი ფაიზორის ძე ----- 26
17-21 ---- ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე ----- 26
22-36 ---- ბარბაქაძე გიორგი კონსტანტინეს ძე ----- 25
22-36 ---- ბეგიაშვილი ანა მიხეილის ასული ----- 25
22-36 ---- თხელიძე ირაკლი ჯონდოს ძე ----- 25
22-36 ---- კაპანაძე პავლე ვალტერის ძე ----- 25
22-36 ---- კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე ----- 25
22-36 ---- კოტეტიშვილი ირაკლი შოთას ძე ----- 25
22-36 ---- მაზიაშვილი დავით ბიძინას ძე ----- 25
22-36 ---- მახარაშვილი თეიმურაზ თენგიზის ძე ----- 25
22-36 ---- მელიქიშვილი ნუგზარ ლევანის ძე ----- 25
22-36 ---- მელინკაური ლევან ვალერიანის ძე ----- 25
22-36 ---- ნიჟარაძე შოთა ვარლამის ძე ----- 25
22-36 ---- სანიკიძე დავით შოთას ძე ----- 25
22-36 ---- შენგელია ლაშა ზაურის ძე ----- 25
22-36 ---- წიქარიძე გოგა იურის ძე ----- 25
22-36 ---- სულაშვილი გიორგი მალხაზის ძე ----- 25

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ მუხლმა არ მიმუხთლა...
## მუხრან ვახტანგაძე უმუხლოდაც მტკიცედ დგას



ბადრი კოთოლაძის ფოტო

ბეგი დარჩია



ბადრი კოთოლაძის ფოტო

მუხრან ვახტანგაძე

დღეს საფრანგეთში, პარიზიდან 50 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ კრეტელში, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება. წინა მსოფლიოზე, რომელიც შარშან მოსკოვში გაიმართა, საქართველოს ნაკრებმა ორი მედალი მოიპოვა – ბადრი ხასაიამ ვერცხლი, მანუჩარ კვირკველიამ კი ბრინჯაო

*საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატისადმი ინტერესს ერთიორად ზრდის ის ფაქტიც, რომ 2-5 ოქტომბერს არა მარტო მედლებისთვის, არამედ ათენში მოსახვედრადაც გაიმართება მძიმე ბრძოლები, რადგან ეს შედეგი ათენის ოლიმპიადის ლიცენზიის ტოლფასია. აქედან გამომდინარე, კრეტელში გასამართი პირველობა განსაკუთრებით წარმომადგენლობითი იქნება.*

*დღეს ბრძოლაში ოთხი წონა ჩაერთვება. ქართველთაგან პირველნი ხალიჩაზე ირაკლი ჭოჭუა (55 კგ), მანუჩარ კვირკველია (66 კგ), მუხრან ვახტანგაძე (84 კგ) და მირიან გიორგაძე (მძიმე) გავლენ. დღეს ისინი ჯგუფურ შეხვედრებს ჩაატარებენ და მომდევნო ეტაპზე გაღწევის შემთხვევაში ათენის საგზურის მფლობელებიც გახდებიან. ხვალ იჭიდავებენ აკაკი ჩაჩუა (60 კგ), ბადრი ხასაია (74 კგ) და რამაზ ნოზაძე (96 კგ).*

*16-კაციანი ქართული დელეგაცია საფრანგეთში ორშაბათს ჩაფრინდა და შარშანდელი შედეგის გასაუმჯობესებლად გამალებით ემზადება. ერთადერთი, რაც გუნდის საერთო მომზადებით კმაყოფილ მთავარ მწვრთნელ* ***ბეგი დარჩიას*** *აფიქრებს, მსოფლიოს ჩემპიონ მუხრან ვახტანგაძის ტრავმაა. თუმცა, მიუხედავად არასათანადო მომზადებისა, მისი გამოცდილების იმედება და მედლის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტადაც მიიჩნევს. ოპტიმისტურადაა განწყობილი თავად ვახტანგაძეც. მწვრთნელ-მეგობრის პარიზში გაფრენის წინ გავესაუბრეთ და მათ ნაუბარს აქვე გთავაზობთ:*

**— როგორ გაიარეთ მოსამზადებელი პერიოდი. კმაყოფილი ხართ მოჭიდავეთა ფორმით?**

— ბოლო ორი შეკრება ბორჯომში გავიარეთ და საკმაოდ ნაყოფიერადაც. გუნდი კარგადაა მომზადებული და მოჭიდავეთა დღევანდელი ფორმა მათ შანსებს ერთიორად ზრდის. შედეგი კი კვირის ბოლოს გამოჩნდება.

**— როგორ ფიქრობთ, შეძლებთ საფრანგეთში წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგის გაუმჯობესებას?**

— მაღალი შედეგებისთვის ბრძოლა ჩემი გუნდიდან თითქმის ყველას შეუძლია. მთავარი ისაა, რამდენად კარგად მოახერხებენ ისინი თავიანთი შანსის გამოყენებას.

**— მაინც ვის მიიჩნევთ გუნდის ლიდერად?**

— საფრანგეთში საქართველოს ნაკრებს ერთპიროვნული ლიდერი არ ეყოლება. ერთადერთი, ვისაც აქამდე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მედალი არ მოუგია, მძიმეწონოსანი მირიან გიორგაძეა. სხვებს კი საერთაშორისო არენაზე თავიანთი ძალა არაერთგზის დაუმტკიცებიათ. ასე რომ, მსოფლიოზე ისეთი გუნდით გამოვდივართ, რომელშიც წარმატების შანსი ყველას თანაბრად აქვს.

**— რეალურად ნაკრებს რამდენი მედლის და ლიცენზიის მოგება ძალუძს?**

— პროგნოზისგან თავს შევიკავებ. იმედია, მედლები გასული წლის ჩემპიონატთან შედარებით მეტი გვექნება, ხოლო ლიცენზიას ყველა წონაში ავიღებთ. შეიძლება ამისთვის მომავალი წლის სალიცენზიო ტურნირებიც გახდეს საჭირო, მაგრამ, რაც მთავარია, საგზურები ყველა წონაში გვექნება. ფრანგული მონაგარი კი მნიშვნელოვანწილად კენჭისყრაზე იქნება დამოკიდებული.

**— ტრავმების მხრივ როგორაა საქმე? ვიცით, რომ მუხრან ვახტანგაძეს შეკრებაზე ნატკენმა მუხლმა ინტენსიურად ვარჯიშის საშუალება არ მისცა.**

— მცირე ტრავმები რამდენიმე მოჭიდავეს აწუხებდა, თუმცა არცთუ ისე სერიოზული, სამზადისში ხელი შეშლოდათ. რაც შეეხება მუხრანს, მისი მდგომარეობა გაცილებით მძიმეა. ის-ის იყო, მუხლის ტრავმა მოიშუშა და სრული დატვირთვით დაიწყო ვარჯიში, რომ მეორე მუხლი დაიზიანა.

**— ეს ჩვეულ დონეზე ჭიდაობაში ხელს არ შეუშლის?**

— მართალია, მთელი ძალით ვერ დაიტვირთა და ინტენსიურ ვარჯიშებში ჩართვაც ვერ შეძლო, მაგრამ თავის წონაში მაინც ერთ-ერთ ფავორიტად მივიჩნევ. ამის იმედს პირველ ყოვლისა, მისი გამოცდილება გვაძლევს.

**— და ბოლოს, რომელი ქვეყნის ნაკრებებს თვლით საფრანგეთში უმთავრეს კონკურენტებად?**

— ტრადიციულად ძლიერი გუნდები ეყოლებათ რუსეთს, თურქეთს, აშშ-ს. ტრადიციულად კარგი მოჭიდავეები ჰყავს ასევე სამხრეთ კორეასაც. ცალკეულ წონებში კი ყაზახეთი და კუბაც გამოირჩევა.

*მართალია, ორი წლის წინ ბერძნულ პატრაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მომგებმა მუხრან ვახტანგაძემ შარშან, ანალოგიურ პირველობაზე მოსკოვში მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა და ბოლო ევროპის ჩემპიონატზე უმედლოდ დარჩა, მაგრამ საფრანგეთში მაინც ტიტულის მოგების იმედით გაემგზავრა.*

**მუხრან ვახტანგაძე** — მიუხედავად ტრავმისა, საკმაოდ კარგად ვარ მომზადებული და ფრანგულ ხალიჩაზე მხოლოდ ოქროს მედლის მოსაგებად გავალ.

**— მაგრამ ნატკენი მუხლი ჩვეულად ჭიდაობის საშუალებას მოგცემს?**

— ვეცდები მას უდიდესი მონდომება დავუპირისპირო და საწადელს ამით მივაღწიო.

**— მუხლის ტრავმა ცუდად დაგებედა. ევროპის ჩემპიონატის წინაც იგივე პრობლემა არ შეგექმნა?**

— მაშინაც მუხლი დავიზიანე და შეხვედრიდან შეხვედრამდე ტკივილი უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა, თუმცა მედლის მოპოვება მაინც რეალურად შემეძლო. ამაში ხელი არაობიექტურმა მსაჯობამ შემიშალა.

**— მსოფლიოს ჩემპიონი ხარ და შენს წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებული მონდომებით იჭიდავებს. ეს ფსიქოლოგიურად ზედმეტად ხომ არ დაგტვირთავს?**

— ნებისმიერი მეტოქე რომ სერიოზულად განწყობილი გამოვა ჩემს წინაამდეგ, ამას უკვე შეგუებული ვარ. ვისაც არ უნდა შევხვდე, ყველასთან მოსაგებად ვიბრძოლებ.

**— ვინ იქნებიან შენი წონის მთავარი ფავორიტები საფრანგეთში?**

— განსაკუთრებით ორ მსოფლიოს ჩემპიონს გამოვყოფ, თურქ ავლუჯან ნაზიმსა და შვედეთის სახელით მოასპარეზე სომეხ არა აბრაჰამიანს. შეხვედრა პირველთან მირჩევნია, რადგან აქამდეც შევხვედრივარ და თავისსავე კედლებში დამიმარცხებია. შვედსომეხთან კი საჭიდაოდ არასოდეს გავსულვარ. ოქროს მედლის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად შეიძლება ჩაითვალოს ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ექსჩემპიონი, რუსი ალექსანდრე მიშინიც.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| საქართველოს ნაკრები |
|---|
| 55 კგ — ირაკლი ჭოჭუა |
| 60 კგ — აკაკი ჩაჩუა |
| 66 კგ — მანუჩარ კვირკველია |
| 74 კგ — ბადრი ხასაია |
| 84 კგ — მუხრან ვახტანგაძე |
| 96 კგ — რამაზ ნოზაძე |
| მძიმე — მირიან გიორგაძე |



# ჩვენი თბილისი ძველ დროს იგონებს, ნისლივით მიაქვს დარდი



ბაადურ ჯობავა

**ბოლო** ორ ტურში საკმაოდ მძიმე ბრძოლები გადახდა ახალგაზრდა ქართველ მოჭადრაკეს ბაადურ ჯობავას. კრეტაში მიმდინარე ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ჯობავა ქართველთა გუნდ „თბილისის" პირველ დაფაზე თამაშობს და შესაბამისად ყველაზე ძლიერ მეტოქეებთან უწევს თამაში. მეორე ტურში იგი ევროპის ჩემპიონ ზურაბ აზმაიფარაშვილს რომ დაუხავდა, გუშინდელ ნომერშიც გამცნეთ, აი, მესამეში კი მისი მეტოქე მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკე გარი კასპაროვი იყო. იმ დღეს ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი და ქულადაუკარგავი „ლადია-—ბაზანი" შეხვდა „თბილისს".

კასპაროვმა პარტია L4-ით დაიწყო და წინ პაიკები გამოიყვანა, მეტოქისგან თავის დაცვა ბაადურმა კაროკანის დაცვით (C6) არჩია და მეშვიდე სვლაზე რუსს ოფიცერი მხედარში გაუცვალა. ამ პატარა შეტაკების შემდეგ მეტოქეებმა საკუთარ ტერიტორიაზე ფიგურების მობილიზება დაიწყეს და იერიშებისა და თავდაცვისთვის იწყეს მზადება. პირველი დარტყმა 31-ე სვლაზე ჯობავამ განახორციელა, მხედრით 34-ზე მდგარი პაიკი აიყვანა და ეტლს და ლაზიერს დაემუქრა. ამ უჯრაზე მალე დიდი ხოცვა-ჟლეტა დაიწყო და ბრძოლა თანდათან მთელ დაფას მოედო. საბოლოოდ ორთაბრძოლაში ტაქტიკურად უკეთესი მდგომარეობა კასპაროვს დარჩა და ქართველის მეფეს ლაზიერ-ეტლის წყვილი დაასია. ჯობავასაც სხვა გზა აღარ დარჩა და 52-ე სვლაზე მრისხანე მეტოქესთან დამარცხება აღიარა.

ასევე დათმეს თავიანთი შეხვედრები გიორგი ყაჭეიშვილმა, მერაბ გაგუნაშვილმა და ზვიად იზორიამ. ყაიმი ითამაშა მიხეილ მჭედლიშვილმა, ხოლო ლევან ფანცულაიამ კვლავ იმარჯვა და გუნდს პრესტიჟის ქულები მოუხვეჭა.

6:0 მოიგო წინა ტურში ქართველებისგან დაბრიყვებულმა ბოსნიურმა „კისელჯაკმა". შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში პირველ დაფაზე ზურაბ აზმაიფარაშვილი თამაშობს და ახლა ლიდერ „ლადია-ყაზანს" ორი ქულით ჩამორჩება. „თბილისი" კი 8,5 ქულით ცხრილის შუაშია გაკიდებული.

როგორც ყოველთვის, ჩვენი მანდილოსნები კაცებზე უკეთ თამაშობენ. მესამე ტურში „ნტნ თბილისი" მოლდავურ „ვლიმ სპორტ კლუბს" დაუპირისპირდა. ამ გუნდში კი მსოფლიოში ცნობილი მოჭადრაკეები თამაშობენ: წარმოშობით მოლდაველი და საფრანგეთში მცხოვრები ელმირა სკრიპჩენკო, ბელგიელი ანტოანეტა სტეფანოვა და სხვანი. პირველ დაფაზე ნანა ძაგნიძის მეტოქე, ჩემპიონატის ერთ-ერთი მშვენება ალმირა სკრიპჩენკო იყო.

ნანამ თამაში დედოფლის გამბიტით დაიწყო. სკრიპჩენკომაც დებიუტი მარცხენა ფლანგიდან არჩია და ქართველის ფიგურებს შეუტია. ბრძოლაში თანდათან მსუბუქი ფიგურებიც ჩაერთვნენ, აქტიურად თამაშობდა ქართველი და მერვე სვლაზე მეტოქის ეტლ-ლაზიერის „ჩანგალი" ჩაუსვა, რის შემდეგაც ეტლით დაწინაურდა. მაგრამ სკრიპჩენკო დანაკარგს ასე მარტივად არ შეურიგდა და ექვსიოდე სვლაში მეტოქეს ეტლი ააცალა, თუმცა პაიკით წაგებაში დარჩა. რამდენიმე სვლაში ძაგნიძემ მეტოქეზე ფიგურებით ზეწოლა გააძლიერა და 25-ე სვლაზე იმარჯვა კიდეც.

მეორე დაფაზე სტეფანოვასთან ასევე დედოფლის გამბიტით დაიწყო თავისი პარტია მაია ლომინეიშვილმა და მსწრაფლ იერიში განახორციელა. დაფის შუაგულში დიდი ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა მე-17 სვლაზე დროებით შეწყდა და ორივე მხარემ დიდი იერიშებისთვის ფიგურების გადაწყობა დაიწყო. 26-ე სვლაზე იერიში კვლავ ქართველმა განახორციელა და მეტოქეს ეტლი გაუცვალა. თამაში ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა, აქ კი უცხოელმა იყოჩაღა და 50-ე სვლაზე პარტია მოიგო კიდეც.

ლელა ჯავახიშვილისა და მოლდაველი სვეტლანა პეტრენკოს 58-სვლიანი პარტია საბოლოოდ ყაიმით დასრულდა.

დაძაბული გამოდგა სოფიო გვეტაძისა და ასევე მოლდაველი კაროლინა სმოკინას შეხვედრა. საბოლოოდ კი 66-ე სვლაზე ქართველმა იძალა და გუნდს გაამარჯვებინა.

ყაიმით ითამაშა „ნტნ თბილისის" უშუალო კონკურენტმა სერბულმა „პოდგორიცამ" და ახლა ყოფილი იუგები ჩვენებს მხოლოდ ნახევარი ქულითღა უსწრებენ.

**ლუშა გეგეჭკორი**

# RUGBY WORLD CUP 2003

## ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

A ჯგუფი

ავსტრალია
არგენტინა
ირლანდია
რუმინეთი
ნამიბია

*ათ ოქტომბერს კუნძულივით კონტინენტ ავსტრალიაში მეხუთე მსოფლიოს თასი იწყება, რომელშიც – ნამდვილად არ გვავიწყდება – და საქართველოც მონაწილეობს. და არც დაგვავიწყდება, რადგან ეს პირველი მსოფლიოს ჩემპიონატია, რომელში მონაწილეობის უფლებაც დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა, ცხადია, სათამაშო სახეობებს ვგულისხმობთ. დღეიდან „სარბიელი" წარმოგიდგენთ მონაწილეებს. A ჯგუფით დავიწყოთ*

## ავსტრალია

დედაქალაქი
კანბერა
20 მილიონი მაცხოვრებელი
30 000 მორაგბე

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ნახევარფინალში წააგო საფრანგეთთან
1991 — ჩემპიონი
1995 — მეოთხედფინალში წააგო ინგლისთან
1999 — ჩემპიონი

# ჩემპიონი


ჩემპიონი „ვოლაბები" მომხდურებს ელიან

**ამას წინათ** დიდ ავსტრალიელ მორაგბეს დევიდ ქემფიზს ჰკითხეს, ვინ მოიგებს წლევანდელ მსოფლიოს თასსო. ქემფიზს სახე მოეღუშა. მკითხველს ისე მიაშტერდა, კაცი იფიქრებდა, ჯეელობაში რომ მოედანზე მეტოქეებს ანგრევდა, ამ საბრალოსაც ის დღე მოელისო, მაგრამ... ქემფიზის სახეზე მალე ღიმილმაც გადაირბინა, მისი პირქუში მზერა სადღაც გაქრა.

„გატყობთ, ხუმრობის ხასიათზე ხართ, რა თქმა უნდა, ავსტრალია! როდის იყო, ჩვენი ქვეყნიდან ვილაც გადამთიელს ჩვენი ტიტულები მიჰქონდა?!" — იყო პასუხი.

ვაი, ავსტრალიელებს, თუ ისინი წლეულს „ვებ ელისის" თასს კონტინენტ-ქვეყანაში ვერ დატოვებენ. მერე ნახეთ ყიამყრალობითაც განთქმული ქემფიზისგან მათი გაჯორვა. თანაც ქემფიზი მხოლოდ ერთ-ერთია იმ 20 მილიონ ოზთაგან, რომლებიც თავიანთი კერპებისგან მხოლოდ ჩემპიონობას ელიან და ითხოვენ. სხვა შედეგი გადამთიელებსაც წაუღიაო, ამბობენ.

აქამდე გამართული ოთხი თასიდან „ვოლაბებს" ორი მსოფლიო ოქრო „ამოუღიათ". ახლა ოზები მსოფლიოს თასს მასპინძლობენ და მესამედ გაჩემპიონების დიდი შანსი აქვთ. „ვოლაბთა" მთავარი მეტოქეები მეზობელი ახალი ზელანდია და ინგლისი იქნებიან, ის ინგლისი, რომლის სამეფო გვირგვინის ჩრდილიდან ავსტრალია 102 წლის წინ გამოვიდა, მაგრამ ფორმალურად დღემდე გაერთიანებულ სამეფოში შედის.

„ძნელი იქნება, მაგრამ ეს თასი ჩვენთან უნდა დარჩეს. დიდ პატივს ვცემ ახალ ზელანდიასა და ინგლისს, ისინი იმსახურებენ მსოფლიოს ჩემპიონობას, მაგრამ დიდი ბოდიში მათ — ავსტრალიიდან თასს ვერავის გავატანთ. მათ უნდა მოიცადონ" — ამბობს „ვოლაბთა" მულატი კაპიტანი ჯორჯ გრეგანი, ვინაც სამ ერზე ჩაფლავებული მატჩების გამო მშობლიურმა მედიამ გვარიანად გამოთათხა. გრეგანმა ლანძღვა მალევე მოინელა და ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თავის ძმაკაცებთან ერთად როგორ წაუხდინოს აზვირთებულ ახალზელანდიელებს და ინგლისელებს მადა. ერთი ეგაა, რომ „დიდ ჯორჯს" ზურგს ვერ გაუმაგრებს აბორიგენი ვიცეკაპიტანი ტოუტაი კეფუ, ვისაც ამ ზაფხულს კისრის მალა დაუზიანდა. კეფუს არყოფნა დიდი დანაკლისია ავსტრალიისთვის, მაგრამ ძალიან საეჭვოა, 6 შტატად და ორ ტერიტორიად დაყოფილ ქვეყანაში, სადაც 850 სარაგბო კლუბი და 30 ათასი ლიცენზირებული მორაგბეა, ერთი მტკიცე ნებისყოფის კუნთმაგარი მორკინალი ვერ იპოვონ.

და თუ ღმერთი გწამთ, ახლა ნუ მოგვთხოვთ ავსტრალიური რაგბის დეტალურად აღწერას. ეს იგივეა, ბრაზილიური ფეხბურთის რაობა ავხსნათ. ერთი სიტყვით, მსოფლიოს ოვალური ვეშაპი ახლა მიძინებულია, მაგრამ სადაცაა გამოიღვიძებს და თუ პირი დააღო...

**მთავარი მწვრთნელი: ედი ჯონსი**

**შერკინება:** დევიდ ლაიონსი, ჯონ რო, ჯორჯ სმიტი, ფილ ვუ, დევიდ კროფტი, მეტ კოკბეინი, დევიდ გიფინი, ნათან შარპი, დენ ვიკერმანი, ჯასტინ ჰარისონი, ბენ დარვინი, ელ ბაქსტერი, ბილ იანგი, მეტ დიუნინგი, ბრენდან ქენონი, ჯერემი პოლი

**უკანა ხაზი:** კრის ლატამი, მეტიუ ბერკი, ჯო როფი, ვენდელ სეილორი, ლოტე ტუკირი, მეტ როჯერსი, სტირლინგ მორტლოკი, მორგან ტურინუი, ნათან გრეი, ელტონ ფლეტლი, სტივენ ლარკემი, მეტ ჟიტუ, ჯორჯ გრეგანი (კაპ), კრის ვიტეკერი

## ირლანდია

დედაქალაქი
დუბლინი
5,2 მილიონი მაცხოვრებელი
6 500 მორაგბე

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — მეოთხედფინალში წააგო სამხრეთ აფრიკასთან
1991 — მეოთხედფინალში წააგო ინგლისთან
1995 — მეოთხედფინალში წააგო საფრანგეთთან
1999 — მერვედფინალში წააგო არგენტინასთან

# სრულიად ირლანდია

**ეროვნული** და კიდევ სხვა პრობლემებით აფორიაქებულ ირლანდიაში რაგბი ნამდვილი ოაზისია. სპორტის ამ უხეშ სახეობას თავადაც მოუხეშავი ირლანდიელები სხვებზე არანაკლებ უხეშად თამაშობენ, მაგრამ აქ მთავარი სხვაა — ისინი რაგბს ერთად თამაშობენ. კათოლიკე და პროტესტანტი, დამოუკიდებელი და ჩრდილოირლანდიელები ერთ ნაკრებში ერთიანდებიან და მხოლოდ ნომრებით განსხვავებულ მწვანე კვართებში გამოწყობილები ერთმანეთის მხარდამხარ გადიან მოედანზე. სპეციალური ჰიმნიც დაიწერა, რომელსაც „ირლანდიელთა ყივილი" ჰქვია. ამ სიმღერას „სამყურები" 1995 წლის მერე ყველა მატჩის წინ ეროვნული ჰიმნის შემდეგ ასრულებენ. ირლანდიელები გულისტკივილით ამბობენ, შერკინება იმხელა არ არის, რომ ყველა პროტესტანტმა და კათოლიკემ ერთმანეთს ხელი გადავხვიოთ და მხარდამხარ დავდგეთო.

მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიელებს 1985 წლის შემდეგ ექვსი ერის გათამაშება არ მოუგიათ და დღემდე ჩატარებულ მსოფლიოს თასებზეც მეოთხედფინალს არ გასცილებიან, ისინი მუდამ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გამართულ ტესტ-მატჩების დროს „სამყურებს" თავად მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრალიელები ემსხვერპლნენ.

ირლანდიურ რაგბიში კარგა ხანი თაობათა ცვლა მიმდინარეობდა. ახლა თამამად ითქმის — „სამყურებს" ახალი თაობა მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებს ადგენს. და მაინც, ირლანდიელებს არა აქვთ გარანტირებული ჯგუფიდან გასვლა, მათთან მსოფლიოს ჩემპიონი და მასპინძელი ავსტრალიელები და წინა თასზე მათი მძლეველი არგენტინელები მოხვდნენ.

„სამყურების" მთავარ მწვრთნელ ედი ოსალივანს მათთან ჭიდილში კაპიტან და ლიდერ კით ვუდის, ბრაიან ოდრისკოლის, პიტერ სტრინგერისა და კიდევ ბევრის იმედი აქვს.


„ირლანდიელთა ყივილი"

**მწვრთნელი: ედი ოსალივანი**

**შერკინება:** ენტონი ფოლი, ვიქტორ კოსტელო, საიმონ ნისტერბი, ერიკ მილერი, კიტ ;კლისონი, ალან ქუინლანი, მალკოლმ ოკელი, გარი ლონგველი, პოლ ოკონლი, დონაშა ოკალაგანი, რეჯი კორიგანი, მარკუს ჰორანი, ჯონ ჰეისი, საიმონ ბესტი, კიტ ვუდი (კაპ)

**უკანა ხაზი:** გირვან დემფსი, ენტონი ჰორგანი, შეინ ჰორგანი, ჯონ კელი, დენის ჰიკი, ბრაიან ოდრისკოლი, კევინ მაგსი, პადი უოლესი, დევიდ ჰემფრიზი, რონან ოგარა, პიტერ სტრინგერი, გაი ისტერბი, ნილ დოკი


კიტ ვუდი, რომელიც სინამდვილეში ასეთი ბოთე როდია

# არგენტინა

დედაქალაქი
ბუენოს-აირესი
38 მილიონი მაცხოვრებელი
36 000 მორაგბე

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ჯგუფში ერთი გამარჯვება
1991 — ჯგუფში ყველა თამაში წააგო
1995 — ჯგუფში ყველა თამაში წააგო
1999 — მეოთხედფინალში დამარცხდა საფრანგეთთან

## ჩასაფრებული პუმა, აღმოჩენილი დრაკონი

**არგენტინა** კარგა ხანია ლათინური ამერიკის სარაგბო ფლაგმანია და თუმცა ადრეულ მსოფლიოს თასებზე დიდი სამალლეები არ აუღია, იქ მოხვედრა არასდროს ემნელებოდა.

1998 წლიდან ბევრი შეიცვალა, დაიწყო არგენტინული რაგბის გაპროფესიულება და თუმცა ეს პროცესი დღესაც არ დასრულებულა, რაგბში ფულის ჩადების შემდეგ „პუმები" მსოფლიოს სარაგბო ოჯახში ერთ-ერთ სერიოზულ და ანგარიშგასაწევ ძალდ იქცნენ. 1987, 1991 და 1995 წლების მსოფლიოს თასებზე უხეირო გამოსვლის შემდეგ 1999 წელს ნახევრად პროფესიონალური არგენტინის ნაკრები მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მომავალ ფინალისტ საფრანგეთთან დამარცხდა. 1999 წლის მსოფლიოს თასის საუკეთესო მეჭურეც არგენტინელთა მე-10 ნომერი გონსალო კესადა გახდა, მას რაგბის მარადონაც კი შეარქვეს.

ორი აზრი არ არსებობს, არგენტინელი ხალხისთვის პირველი სპორტი ფეხბურთია, თუმცა 1999 წელს „პუმების" კარგმა თამაშმა ქვეყანაში ოვალური ჰორიზონტი გააფართოვა. არგენტინელების თქმით, 1999 წლის მსოფლიოს თასმა ქვეყანას ახალი გმირები მოუვლინა. ფეხბურთი ჩვენთვის ყველაფერია და მას ვერაფერი შეცვლისო, ამბობენ გაუჩოთა შთამომავლები. თუმცა მსოფლიოს თასის დროს ფეხბურთის ყველაზე დიდმა ფანებმაც კი ცოტა ხნით დაივიწყეს თავიანთი კერპები და მთელი სულითა და გულით უქომაგეს „პუმებს".

„პუმები" ავსტრალიაში თავიანთი კაპიტნის ლისანდრო არბიზუს გარეშე მიდიან, რომელმაც ნაკრების საავსტრალიო მზადებისას მუხლი იტკინა. არბიზუს ყველაზე მეტი კეპი მოუხვეჭია და ნაკრებთან ერთად სამ მსოფლიოს თასზე ურაგბია. მის ნაცვლად „პუმების" მწვრთნელმა მარჩელო ლოფრედამ ნაკრებში ფრანგულ „ბიარიცში" მოთამაშე მარტინ გაიტანს უხმო. არბიზუს არყოფნის მიუხედავად, ნაკრებში არაერთი გამოცდილი მორაგბეა, რომლებსაც შეუძლიათ, „პუმების" ლიდერობა ითავონ. იგივე გონსალო კესადა, ფრანგული „ბეზიეს" დამრტყმელი. მაურიციო რეჯიარდო (კასტრი, საფრანგეთი) და ომარ ჰასანი (აჟენი, საფრანგეთი) კი საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბურჯები არიან.

ნაკრების მწვრთნელ მარსელო ლოფრედას თქმით, „პუმების" მთავარი მიზანი რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრაა, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ მისმა ბიჭებმა ჯგუფში ავსტრალიას ან ირლანდიას უნდა მოუგონ. თავისთავად იგულისხმება რუმინეთისა და ნამიბიის ძლევა. წინა თასზე „პუმებმა" მერვედფინალში სენსაციურად დაამარცხეს ირლანდია. წელს ამას სენსაციას ვერავინ დაარქმევს.

**მთავარი მწვრთნელები: მარსელო ლოფრედა, დანიელ ბაეტი**

**შერკინება:** გონსალო ლონგო, პაბლო ბოუზა, მარტინ დიურანი, როლანდო მარტინი, სანტიაგო პელანი, ლუკას ოსტილია, რიმას ალვარესი, იგნასიო ლობე, პედრო სპორლედერი, პატრისიო ალბასეტე, მარტინ სკელსო, რობერტო გრაუ, ომარ ჰასანი, მარიო ლედესმა, ფედერიკო მენდესი, მაურისიო რეჯიარდო, როდრიგო რონსერო

**უკანა ხაზი:** იგნასიო კორლეტო, ხუან ერნანდესი, ხოსე მარია პიოსეკი, ერნან სენილოსა, დიეგო ალბანესე, ხოსე ორენგო, მანუელ კონტეპომი, მარტინ გაიტანი, ფელიპე კონტეპომი, გონსალო კესადა, ხუან მირანდა, ნიკოლას მირანდა, აგუსტინ პიჩოტი (კაპ)



წინა მსოფლიოს თასის ბომბარდირი გონსალო კესადა

# რუმინეთი

დედაქალაქი
ბუქარესტი
21,7 მილიონი მაცხოვრებელი
7 000 მორაგბე

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — ჯგუფში ერთი გამარჯვება
1991 — ჯგუფში ერთი გამარჯვება
1995 — ჯგუფში ყველა თამაში წააგო
1999 — ჯგუფში ერთი გამარჯვება

**მწვრთნელი: ბერნარ შარეირი** (საფრანგეთი)

**შერკინება:** მარიუს ნიკულაი, ბოგდან ტუდორი, მარიან ტუდორი, ოვიდიუ ტონიცე, გეორგე ჩირიაკი, კორნელ ტატუ, კრისტიან პეტრე, სორინ სოკოლი, აგუსტინ პეტრაჩე, მარიუს პანტელიმონი, პეტრისორ ტოდერაშკი, მარსელ სოსასიუ, იოინ პაულიცა, სეზარ პოპესკუ, სილვიუ ფლორეა, პეტრუ ბალანი, რაზვან ნავროდინი

**უკანა ხაზი:** დან დუბრავა, მიხაი ვიორიანუ, კრისტიან სუანი, იუან ტედორასკუ, ვასილე გიოკი, გაბრიელ ბრეზოიანუ, ბოგდან ვოიკუ, რომეო გონტინიაკი (კაპ), ვალენტინ მაპტეი, იონუც ტოგანი, ლუსიან სირბუ, იულიან ანდრეი, კრისტიან პოდეა

## ოდესღაც დიდი ყოფილა...

**იყო დრო**, რუმინეთი საფრანგეთის ყოჩაღ ნაკრებს აცამტვერებდა და ფრანგებს ახვეწნინებდა, ერთხელაც გვეთამაშეთო. მაგრამ ეს 60-იან წლებში ხდებოდა, როცა კარპატელები აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო ფრანგები მთელს მსოფლიოში „მამლობდნენ".

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. „მუხის ფოთლებს" (რუმინეთის მეტსახელია) საბჭოურმა ქარმა დაუარა, „წითელმა" პოლიტიკამ რაგბიც მოწამლა და კარპატელ მორაგბეებს შინაპატიმრობა მიესაჯათ. მე თქვენ გეტყვით, და ხმის ამოღებას გაბედავდა ვინმე. ასე აღმოჩნდნენ რუმინელები შინ გამოკეტილები და ტურნეებს ვინ ჩივის, „გახრწნილ კაპიტალისტებთან" კინკილა ტესტიც კი სანატრელი გაუხდათ. ასე გრძელდებოდა, სანამ რუმინელები საბჭოურ უღელს გადაიგდებდნენ და დასავლეთთან ძველ ნაცნობობას აღადგენდნენ. ნაცნობობის აღდგენაში არ იგულისხმება „მუხის ფოთლების" ტაშ-ფანდურით მიღება. 20-წლიანმა იზოლაციამ თავისი ქნა, მაშინ ჯერ კიდევ ხუთი ერის კონსერვატორულ ოჯახში რუმინეთი ზღურბლზე შეაჩერეს — ჯერ მომაგრდი და მერე შემოდიო.

ჰოდა, მიდგნენ-მოდგნენ კარპატელები, ხალხი შეაწუხეს, ფრანგებს გაუშინაურდნენ და თავიანთი პერსპექტიული ჯეელები ფრანგულ კლუბებში მოაწყვეს. ბიჭები ფრანგულად რომ გაიზარდნენ, მწვრთნელიც ფრანგი დაუნიშნეს, „პატარა ნაპოლეონად" წოდებული და ნიცშეს ფილოსოფიით მოხელმძღვანელე ბერნარ შარეირი. სხვათა შორის, შარეირი „ჩვენებური" კლოდ სორელის მეზობელია ბეზიეში.

რუმინეთი ცდილობს, კვლავ ბობოლებში დაბრუნდეს. ძლიერების მოდრეკას ველარ ახერხებს, თუმც ბორჯღალოსნების სისხლს კი წოვს — 5 მატჩიდან ოთხი მოუგო. ეგაა, მთავარი ოცნება ჯერ ვერ აიხდინა, ხუთ ერში იტალიამ შეასწრო. მაგრამ ამბიციური კარპატელები ბედს არ ეგუებიან. მათი რაგბის პატრიარქმა ოქტავიუ მორარიუმ გაზაფხულზე თბილისში სტუმრობისას გვითხრა, სულ მალე შიდა ჩემპიონატს ავაყვავებთ, ნაკრებს კიდევ მოვაძლიერებთ და ხვალ-ზეგ არა, მაგრამ მაზეგ ექვს ერშიც შევძვრებითო. რუმინელებს ეს ალბათ წელმაგარი იტალიის ამოგდების ხარჯზე სურთ. აღდგომა და ხვალეო.



გაფრი კოთოლაძის ფოტო

„მუხის ფოთლებს" ბოლო გამარჯვებები თბილისში უხეიმიათ

# ნამიბია

დედაქალაქი
ვინდჰუკი
1,83 მილიონი მაცხოვრებელი
12 000 მორაგბე

**მსოფლიოს თასებზე**

1987 — არ მონაწილეობდა
1991 — არ მონაწილეობდა
1995 — არ მონაწილეობდა
1999 — ჯგუფში ყველა თამაში წააგო

## ილოცეთ!

1991 **წლამდე** ნამიბია სამხრეთ აფრიკის მიერ იყო ოკუპირებული და ამიტომ პირველ ორ მსოფლიოს თასზე არ უთამაშია. სხვათა შორის, იმ ორ ჩემპიონატზე ვერც თავად რასისტულმა სამხრეთ აფრიკამ ითამაშა. მაგრამ ნამიბიაში რაგბი ბოლო ორსამ წელში როდი აღმოცენდა. უნდოდათ, თუ არა, ნამიბიელებმა, ოკუპანტების კულტურა და ტრადიციები მაინც აითვისეს, ცხადია, სარაგბოც და აგერ მეორედ მოხვდნენ მსოფლიო სარაგბო ფორუმზე.

მეორე თასის შემდეგ ნამიბიამ დამოუკიდებლობა დაიბრუნა, მაგრამ სარაგბო ამბავში ეს მოვლენა ჩაშხამდა. 1995 წლის მსოფლიოს თასზე ვერ გავიდა, თუმც ოთხი წლის შემდეგ მაინც აისრულა ოცნება (შედეგებს ნუ გამოვეკიდებით).

ცხადია, როგორც ყველა აფრიკულ ქვეყანას, ბუშმენების ნამიბიასაც თავის ეგზოტიკური ხიბლი ახლავს. თუ ახალზელანდიელები ჰაკათი იწყებენ ბრძოლას, ნამიბიელებს ათასი ჯურის თილისმები აქვთ და მატჩის წინ მეტოქესაც ჩუმად ულოცავენ, რათა დაასუსტონ, მაგრამ რაც არ უნდა შეულოცონ ავსტრალიას, არგენტინას, ირლანდიასა და რუმინეთს, იმათი სარაგბო ღმერთი ნაღდად არ გაუწყრებათ.

**მწვრთნელი: დეივ უოტერსტოუნი**

**შერკინება:** შონ ფურტერი (კაპ), იურგენ ვან ლილი, ჟან დიუვეინი, ჰერმან ლილტველტი, სხალკ ფან დე მერვი, არჩი გრემი, ებენ ისააკი, ეინო შენეკალი, შონ ვა რუი, ფილიპუს ისააკი, იოან მეიერი, კორნელ ვან ტონდერი, ენდრიუ ბლააუ, ნილ დუ ტოიტი, ჯოან ჯენკინსი, ქიის ლენსინგი

**უკანა ხაზი:** ჟური ბუისენი, ვინსენ დრეიერი, დესმონდ სნეიდერსი, ემილ ვესელსი, მელრიკ აფრიკა, დეომ მუტონი, ნილ სვანეპოლი, პრეეც გრობლერი, რეჯი კრიუგერი, კორნე პაუელი, რუდი ვან ვურენი, მორნე შროდერი, ჰაკის ჰასელმანი, რონალდო პედრო

გუშინ ნაშუადღევს საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით ჩაფრინდა ავსტრალიაში და დასავლეთის მარგალიტ ქალაქ პერთში დაბინავდა. პერთი ავსტრალიური მაიამია. ბორჯღალოსნები ამ ამქვეყნიური სამოთხის სანაპიროზე ჯგუფის სამ მატჩს ითამაშებენ.

გუშინვე ავსტრალიაში დავუკავშირდით საქართველოს რაგბის კავშირის პრეს-მდივანს გია კუბლაშვილს

# WELCOME GEORGIA
## ავსტრალიამ ქართველები გულში ჩაისვა


გია კუბლაშვილმა ოზთა მასპინძლობით გამოწვეული კმაყოფილება ვერ დამალა

— როგორ იმგზავრეთ?

— მგზავრობამ საკმაო დრო წაიღო. პარიზიდან 18 საათი მოვფრინავდით. ჯერ სიდნეიში ჩავფრინდით, იქიდან კი პერთში. ისე, ხანგრძლივ მგზვრობას არ დავუღლივართ, იმდენად კომფორტულად ვიფრინეთ.

— დახვედრა როგორი იყო?

— აქ პერთში ჩვენი ჯგუფის ყველა მეტოქეს თავისი „ფან კლუბი“ გაუხსნეს. ასე ვთქვათ, ჩვენ, ინგლისს, სამოას, სამხრეთ აფრიკას და ურუგვაის ადგილობრივების მხარდაჭერა გვექნება. ჩვენ „ჩვენი“ ფანები დაგვხვდნენ, ქართული დროშებით და პლაკატებით. ბიჭებმა ბლომად ავტოგრაფები არიგეს. ისეთი თბილი დახვედრა იყო, რომ სიტყვებით ვერ გადმოგცემთ.

— სასტუმრო როგორია?

— საუცხოო. ასეთ პირობებში კარგა ხანია არ გვიცხოვრია. ჩამოვედით თუ არა, ბიჭებს ეგრევე მოედანი შესთავაზეს, მათაც უარი არ უთქვამთ და ივარჯიშეს კიდეც. აქ საკმაოდ კარგი პირობებია და ძალიან კმაყოფილები ვართ მასპინძლობით.

— ესე იგი, პრობლემები არ შეგქმნიათ...

— არა, რა პრობლემები. პირიქით თავზე გვევლებიან.

**ბაჩო სვანიძე**

*ასევე გთავაზობთ პოპულარულ ინგლისურ გაზეთ „დეილი მეილიში“ გამოქვეყნებულ მომცრო წერილს, რომელშიც ინგლისელთა პირველ მეტოქეებზე ქართველების შესახებაცაა „გაკრული“ სიტყვა ნათქვამი*

## ორმოცდაათი გირვანქა, რათა ქართველებმა ივარჯიშონ

**პიტერ ჯექსონი**
DAILY MAIL 1 ოქტომბერი

**დღეს** პერთში ჩამოფრინდა საქართველოს ხელმოკლე ნაკრები და თან ჩამოიტანა სავარჯიშო ჟილეტები, რომელთა კომპლექტის ფასიც 50 გირვანქაა და რომელთა ყიდვაც გუნდმა ვერ შეძლო.

ქართველებს მოჰყვა ინგლისის გუნდი, რომლის ბარგიც ათასგვარი უახლესი ტექნოლოგიის საჭირო ნივთებით იყო სავსე. ეს გუნდები პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან.

ქართველებს ეს ჟილეტები საფრანგეთის მესამე დივიზიონის კლუბმა შეუძინა.

ავინიონის გუნდის „შატო რენარის“ ბაზაზე საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასისთვის ემზადებოდა და კლუბის მესვეურებმა ჰკითხეს მათ ავსტრალიაში გამომგზავრების წინ — ამ ორი ყუთი შამპანურის გარდა კიდევ რამე ხომ არ გჭირდებათო, რაზეც ქართველებმა მიუგეს, რომ ფული არა აქვთ ამ ჟილეტების საყიდლად. ფრანგები წავიდნენ და ოცდაათჟილეტიანი კომპლექტი უყიდეს, რისთვისაც დიდი მადლობაც მიიღეს.

სტაფილოსფერი და წითელი ჟილეტები საშუალებას მისცემს საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს ვარჯიშისას იოლად განასხვაონ ერთმანეთისგან გუნდის ძირითადი შემადგენლობა, რომელიც ინგლისს უნდა ეთამაშოს და მარქაფი.

ინგლისელები ნამდვილი ბინებივით სასტუმრო ოთახებში იცხოვრებენ თავიანთ ცოლებთან ერთად, მათი მეტოქე კი, რომელიც მსოფლიოს პირველ გუნდს „სუბიაკოს“ ბალახზე უნდა შეერკინოს, ასეთ პირობებში ვერ იქნება.

ინგლისის რაგბის კავშირს ათი მილიონ გირვანქაზე მეტი უზის მსოფლიოს თასი.


ეეჰ, როგორ ულხინს ინგლისს!



# მოშლა-არმოშლამდე მხრები გაშალეთ
## NHL კარგ სეზონს გეგმავს

*იმ კვირას ტრდ 87-ე რეგულარულ ჩემპიონატს იწყებს. სეზონი ფრიად საინტერესო იქნება, რაკი 2004 წლის ივლისში იწურება ლიგის ბოსებსა და მოთამაშეთა ასოციაციას შორის დადებული ერთობლივი ხელშეკრულების ვადა, არავინ იცის, როდის მოახერხებენ მხარეები მოლაპარაკებას, როდის ჩატარდება მომდევნო სეზონი, ამიტომაც გუნდები მთელ იმედებს ამ ჩემპიონატზე ამყარებენ. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, წარმოგიდგინოთ პირველობის მონაწილენი. და რაკი გასულ სეზონში თასი „ნიუ ჯერსი დევიზლმა“ მოიპოვა, ატლანტის დივიზიონით დავიწყებთ*

## აღმოსავლეთი კონფერენცია
### ატლანტის დივიზიონი

#### ნიუ ჯერსი დევილზი

თუ გგონიათ, რომ თასის მოპოვება გუნდს უმალვე გრანდად აქცევს, ცდებით. არა, „ნიუ ჯერსის“ მოგებას გასულ პლეიოფში შემთხვევითობად ვერავინ ჩათვლის, მაგრამ გუნდის თავგამოდებული ქომაგებიც ვერ წარმოიდგენენ, რომ „ეშმაკები“ დუბლს გაახარებენ. არადა, გუნდი იგივეა, თითქმის მთელი შემადგენლობა შენარჩუნებულია. ერთადერთი სერიოზული შენაძენი 42 წლის ეგორ ლარიონოვია, რომელიც კარიერის დასრულებას აპირებს და ჩემპიონობას ეშურება. თუმც ვინ იცის... იგი დეტროიტიდან გადავიდა, გუნდიდან, რომელიც ასევე თასისთვის იბრძვის და ვნახოთ, რამდენად ბრძნული აღმოჩნდება „პროფესორად“ სახელდებული რუსის გადაწყვეტილება. ასეა თუ ისე, „ნიუ ჯერსი“ ამ სეზონშიც ძალა იქნება.

#### ნიუ იორკ აილენდერსი

ეს გუნდი მწვრთნელებს ხელთათმანებივით იცვლის. მისმა ემოციურმა გენერალურმა მენეჯერმა მაიკ მილბერიმ ზაფხულში აიტერ ლამეიოლეტი დაითხოვა, რითაც მეტად გააოგნა ფანები, რადგან ნიუიორკელებმა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარეს პირველობა. შემდეგ მილბერიმ თავიც იმართლა, ლავიოლეტმა მოთამაშეებზე კონტროლი დაკარგა. ახლა ნიუიორკელთა მომავალი სტივ სტირლინგზე იქნება დამოკიდებული, რომელიც აქამდე სულ ქვედა ლიგებში მუშაობდა. რამდენად შეძლებს ახალი თავკაცი, ლიდერებ მაიკ პეკასა და ალექსი იაშინს ათამაშებას, დრო აჩვენებს. საზაფხულო ცვლილებებისგან გუნდში პოლონელ მარიუშ ჩერკავსკის მეორედ მისვლას გამოვყოფდით.

#### ნიუ იორკ რეინჯერსი

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ „ნიუ იორკის“ თავქარიანმა მილიონერებმა ამ ზაფხულს ყველაზე მეტი თანხა დაზოგეს. მეკარე მაიკ რიხტერმა კარიერა დაასრულა. ბრაიან ლიჩი და მარკ მესიე გაცილებით „მწირ“ კონტრაქტს დასჯაბულდნენ და ბევრი ფიქრობდა, რომ გუნდი უსაქმოდ დარჩენილ ძვირადღირებულ ვეტერანებზე დაიწყებდა ნადირობას, მაგრამ შეცდნენ. ბოსებს ჯიბეზე ხელი არ გაუკრავთ, თუმც დადის ჭორები, რომ ჩეხმა მეკარე კერტის ჯოზეფმა ძალიან დააინტერესა ბროდვეელები. ასე რომ, წლეულს გაახალგაზრდავებულ, არცთუ განსაკუთრებით მდიდარ „რეინჯერსს“ ვიხილავთ. ეგებ ახლა მაინც დაარღვიოს გუნდმა ბოლო წლების არასასურველი ტრადიცია.

#### ფილადელფია ფლაიერსი

გასულ სეზონში მძლავრი „მფრინავებისა“ და დაცვითი ჰოკეის მოყვარულ კენ ჰიჩკოკის შერწყმამ კარგი ნაყოფი გამოიღო! ამიტომ წლეულს გუნდისგან გაცილებით მეტს ელიან — პლეიოფის მეორე რაუნდში გასვლა აღარ დააკმაყოფილებთ. მით უმეტეს, რომ „ლოს ანჯელესში“ გადაბარგდა რომან ჩეხმანეკი, მეკარე, რომელიც მოულოდნელი შეფერხების მთავარ მიზეზად გამოიყვანეს. მის ნაცვლად გუნდში ჯეფ ჰეკეტი მივიდა, განსაკუთრებით არაფრით გამორჩეული, მაგრამ გენერალურ მენეჯერ ბობი კლარკს მაინც სჯერა მისი.

#### პიტსბურგ პინგვინზი

როცა გუნდში დიდი ცვლილებებია, ეს ზოგადად კარგის მანიშნებელია. „პიტსბურგში“ ამ ზაფხულს ლამის ყველაფერი შეიცვალა, პრეზიდენტიც, თავკაციც, შემადგენლობაც (7 ახალი მოთამაშეა). მაგრამ ყველაფერი ისევ მარიო ლემიეზე იქნება დამოკიდებული, ისევე როგორც ლამის მთელი 20 წლის განმავლობაში. როგორც აცხადებენ, სუპერმარიომ კიდევ 4კილო დაიკლო, საუკეთესო ფორმაშია და გუნდს დიდ სეზონს უწინასწარმეტყველებს... ვნახოთ.

„პინგვინებმა“ ბოლო დრაფტზე მარკ ანდრე ფლერი გამოსტაცეს კონკურენტებს, ნორჩი ჰოკეისტი, რომელიც, სპეციალისტების აზრით, მომავალი პატრიკ რუაა.

**სამველ ღარიბიანი**


„პიტსბურგის“ ყველაფერი მარიო ლემიე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**გამომცემელი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**რედაქტორის მოადგილე** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
**კორესპონდენტი გერმანიაში** ვანო ოქროპირიძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge